საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი

ეროვნული კომისიის

დადგენილება №47
2020 წლის 13 აგვისტო

ქ. თბილისი

„ელექტროენერგიის საცალო ბაზრის წესების“ დამტკიცების შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-14 მუხლის, „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის, 29-ე მუხლის მე-7 პუნქტის, 103-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების, 108-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 110-ე მუხლის მე-11 პუნქტისა და 162-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა.ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია **ადგენს:**

1. დამტკიცდეს „ელექტროენერგიის საცალო ბაზრის წესები“.

2. ეს დადგენილება, გარდა პირველი პუნქტით დამტკიცებული „ელექტროენერგიის საცალო ბაზრის წესების“ მე-12 მუხლის მე-7 პუნქტის, მე-17 მუხლის პირველი პუნქტის და მე-2 პუნქტის „ნ“ და „ჟ“ ქვეპუნქტების და 28-ე მუხლის მე-5 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა, ამოქმედდეს 2021 წლის პირველი ივლისიდან.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2020 წლის 13 ნოემბრის დადგენილება №59 - ვებგვერდი, 24.11.2020 წ.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2021 წლის 28 ივნისის დადგენილება №25 - ვებგვერდი, 30.06.2021 წ.

3. ამ დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებული „ელექტროენერგიის საცალო ბაზრის წესების“:

ა) მე-12 მუხლის მე-7 პუნქტი ამოქმედდეს 2023 წლის 1 იანვრიდან და გავრცელდეს 2022 წლის 18 დეკემბრის შემდეგ ექსპლუატაციაში შესულ დანადგარებზე ან გაზრდილ სიმძლავრეზე;

ბ) მე-17 მუხლის პირველი პუნქტი და მე-2 პუნქტის „ნ“ და „ჟ“ ქვეპუნქტები ამოქმედდეს 2021 წლის 1 ოქტომბრიდან;

გ) 28-ე მუხლის მე-5 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ამოქმედდეს 2024 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2020 წლის 13 ნოემბრის დადგენილება №59 - ვებგვერდი, 24.11.2020 წ.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2021 წლის 28 ივნისის დადგენილება №25 - ვებგვერდი, 30.06.2021 წ.

4. ამ დადგენილების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 18 სექტემბრის №20 დადგენილება.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2020 წლის 13 ნოემბრის დადგენილება №59 - ვებგვერდი, 24.11.2020 წ.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2021 წლის 28 ივნისის დადგენილება №25 - ვებგვერდი, 30.06.2021 წ.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარე	**დავით ნარმანია**
კომისიის წევრი	**გოჩა შონია**
კომისიის წევრი	**გიორგი ფრუიძე**

ელექტროენერგიის საცალო ბაზრის წესები

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2020 წლის 13 ნოემბრის დადგენილება №59 - ვებგვერდი, 24.11.2020 წ.

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. მოქმედების სფერო და მიზნები

1. ეს წესები არეგულირებს საცალო ბაზარზე ელექტროენერგიის მიწოდებასა და მასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, მათ შორის, ურთიერთობებს თავისუფალ მიმწოდებელს, უნივერსალური მომსახურების მიმწოდებელს, ბოლო ალტერნატივის მიმწოდებელს, საჯარო მომსახურების სახით ელექტროენერგიის მიმწოდებელსა და მომხმარებელს შორის.

2. ამ წესების მიზანია:

ა) ელექტროენერგიის მიწოდების წესებისა და პირობების დადგენა;

ბ) ელექტროენერგიის საცალო ბაზრის ეფექტიანი ფუნქციონირებისა და კონკურენციის ხელშეწყობა;

გ) მიმწოდებლებისა და მომხმარებლების უფლებებისა და მოვალეობების განსაზღვრა და მათი შესრულების უზრუნველყოფა;

დ) საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისა და მცირე საწარმოებისთვის მიწოდების უზრუნველყოფის დამატებითი გარანტიების შექმნა;

ე) მიმწოდებლის შეცვლის პროცედურების განსაზღვრა;

ვ) საჯარო მომსახურების ვალდებულების სახით მიწოდების პირობების განსაზღვრა.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

1. ამ წესებში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) მიწოდება – კანონისა და ამ წესების შესაბამისად ელექტროენერგიის მიწოდება;

ბ) მიმწოდებელი – ელექტროენერგეტიკული საწარმო, რომელიც ახორციელებს მომხმარებლისთვის ელექტროენერგიის მიწოდებას, მათ შორის, თავისუფალი მიმწოდებელი, უნივერსალური მომსახურების მიმწოდებელი, ბოლო ალტერნატივის მიმწოდებელი და საჯარო მომსახურების სახით ელექტროენერგიის მიმწოდებელი;

გ) თავისუფალი მიმწოდებელი – ელექტროენერგეტიკული საწარმო, რომელიც ახორციელებს მიწოდებას არარეგულირებული, საბაზრო ფასით;

დ) უნივერსალური მომსახურების მიმწოდებელი – ელექტროენერგეტიკული საწარმო, რომელიც ახორციელებს უნივერსალურ მომსახურებას;

ე) ბოლო ალტერნატივის მიმწოდებელი – ელექტროენერგეტიკული საწარმო, რომელიც ახორციელებს ბოლო ალტერნატივის მიწოდებას;

ვ) საჯარო მომსახურების სახით ელექტროენერგიის მიმწოდებელი – ელექტროენერგეტიკული საწარმო, რომელიც საჯარო მომსახურების სახით ელექტროენერგიას აწვდის იმ მომხმარებელს, რომელზეც არ ვრცელდება უნივერსალური მომსახურება და რომელიც აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დამტკიცებული ელექტროენერგიის ბაზრის მოდელის კონცეფციით განსაზღვრულ კრიტერიუმებს;

ზ) ახალი მიმწოდებელი – მიმწოდებელი, რომელსაც მომხმარებელი მიმართავს მიმწოდებლის შეცვლის განაცხადით;

თ) არსებული მიმწოდებელი – მიმწოდებელი, რომლის შეცვლასაც მიზნად ისახავს მომხმარებელი ახალი მიმწოდებლისთვის წარდგენილი განაცხადით;

ი) სისტემის ოპერატორი – ელექტროენერგიის გადამცემი სისტემის ოპერატორი ან/და ელექტროენერგიის გამანაწილებელი სისტემის ოპერატორი;

კ) მომხმარებელი – პირი, რომელიც ამ წესების შესაბამისად ელექტროენერგიას ყიდულობს მხოლოდ საკუთარი მოხმარებისთვის;

ლ) მიწოდების ფასი – მიწოდების ხელშეკრულებით შეთანხმებული ერთი კილოვატსაათი ელექტროენერგიის ფასი;

ლ[1]) მიწოდების ცვალებადი ფასი – მიწოდების ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიწოდების ფასი, რომელიც იცვლება მხარეთა მიერ შეთანხმებული გარემოებების შესაბამისად;

მ) მომსახურების საფასური:

მ.ა) თავისუფალი მიმწოდებლის შემთხვევაში – ქვითარში ასახული საფასური, რომელიც მოიცავს მიწოდებული ელექტროენერგიის ფასს, კომისიის მიერ დადგენილ გადაცემისა და განაწილების ტარიფებს, საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ გადასახადებს; აგრეთვე, შესაბამის შემთხვევაში, მიწოდების ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის, ამ წესებით დადგენილ სხვა გადასახდელებს;

მ.ბ) საჯარო მომსახურების ვალდებულების სახით მიწოდების შემთხვევაში – ქვითარში ასახული საფასური, რომელიც მოიცავს საბოლოო მომხმარებლის ტარიფს (კომისიის მიერ დადგენილი მიწოდების, გადაცემისა და განაწილების ტარიფების ჯამი), საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ გადასახადებს, აგრეთვე, შესაბამის შემთხვევაში, მიწოდების ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის, ამ წესებით დადგენილ სხვა გადასახდელებს;

ნ) დეპოზიტი – თანხა ან საბანკო გარანტია, რომელსაც მომხმარებელი წარუდგენს მიმწოდებელს მომსახურების საფასურის გადახდის უზრუნველყოფის მიზნით;

ო) მომხმარებლის პრეტენზია – მომხმარებლის მიერ მიწოდების ხელშეკრულებიდან ან/და საქართველოს კანონმდებლობიდან, მათ შორის, ამ წესებიდან გამომდინარე უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მიზნით, მიმწოდებლისთვის წარდგენილი მოთხოვნა;

პ) მიწოდების ხელშეკრულება – მიმწოდებლის მიერ შემუშავებული სტანდარტული ხელშეკრულება, რომელიც იდება მიმწოდებელსა და მომხმარებელს შორის და არეგულირებს მიწოდებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს;

ჟ) საჯარო შეთავაზება – მომხმარებელთა მიმართ განხორციელებული, განსაზღვრული ვადით მოქმედი შეთავაზება, რომლითაც მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, საჯარო შეთავაზების მიღების, მომხმარებლის მიერ შესაბამის მიწოდების ხელშეკრულებაზე მიერთებისა და ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლისთანავე მომხმარებელს მიაწოდოს ელექტროენერგია;

რ) დარიცხვის პერიოდი – დროის მონაკვეთი, მომხმარებლის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის მოცულობის განსაზღვრის მიზნით, სისტემის ოპერატორის მიერ მრიცხველის წაკითხვიდან მომდევნო წაკითხვამდე ან, ამ წესებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, პირობითი დარიცხვის განხორციელებამდე, ან მომხმარებლის მიერ სისტემის ოპერატორისათვის მრიცხველის ჩვენების მიწოდებამდე;

ს) პირველი დარიცხვის პერიოდი – დროის მონაკვეთი, მიწოდების დაწყების დღეს სისტემის ოპერატორის მიერ მრიცხველის წაკითხვიდან, პირობითი დარიცხვის განხორციელებიდან ან

მომხმარებლის მიერ მიწოდებული მრიცხველის ჩვენების მიღებიდან მომდევნო წაკითხვამდე;

ტ) საბოლოო დარიცხვის პერიოდი – დროის მონაკვეთი, სისტემის ოპერატორის მიერ მრიცხველის ბოლო წაკითხვიდან, პირობითი დარიცხვის განხორციელებიდან ან მომხმარებლის მიერ მიწოდებული მრიცხველის ჩვენების მიღებიდან იმ დღემდე, როდესაც მიწოდების ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის ან მისი ვადამდე შეწყვეტის გამო, მათ შორის, ბოლო ალტერნატივის შემთხვევის დადგომის შედეგად, წყდება მისი მოქმედება;

უ) ქვითარი – დოკუმენტი, რომელშიც მიმწოდებელი ასახავს მომსახურების საფასურსა და ამ წესებით გათვალისწინებულ სხვა ინფორმაციას და, რომლის მეშვეობითაც, მომხმარებელი ახორციელებს მიმწოდებელთან ანგარიშსწორებას;

ფ) მიკროსიმძლავრის ელექტროსადგური – მომხმარებლის ან მომხმარებელთა ჯგუფის მფლობელობაში/სარგებლობაში არსებული ელექტროენერგიის წარმოების ობიექტი, რომელიც იყენებს განახლებადი ენერგიის წყაროებს, უკავშირდება ელექტროენერგიის გამანაწილებელ ქსელს და რომლის დადგმული სიმძლავრე არ აღემატება 500 კილოვატს;

ქ) კომისია – საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია;

ღ) კანონი – „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონი.

2. ამ წესებში გამოყენებულ სხვა ტერმინებს აქვს იგივე მნიშვნელობა, რაც კანონში.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2021 წლის 28 ივნისის დადგენილება №25 - ვებგვერდი, 30.06.2021 წ.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2021 წლის 25 ნოემბრის დადგენილება №52 - ვებგვერდი, 30.11.2021 წ.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2022 წლის 24 თებერვლის დადგენილება №3 - ვებგვერდი, 25.02.2022 წ.

მუხლი 3. ვადების ათვლა

ამ წესებში დღეებით განსაზღვრული ვადების ათვლისას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უქმე დღეები, აგრეთვე, დასვენების დღეები – შაბათი და კვირა, არ ჩაითვლება, თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

მუხლი 4. მიწოდების ზოგადი პირობები

1. მიმწოდებელი უფლებამოსილია, მომხმარებელს შესთავაზოს მიწოდება და დადოს მასთან მიწოდების ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის, ამ წესებით დადგენილი პირობების შესაბამისად.

2. მიმწოდებელი ვალდებულია, მიწოდება განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის, კომისიის მიერ დამტკიცებული მომსახურების ხარისხის წესების მოთხოვნათა დაცვით.

3. მომხმარებელი უფლებამოსილია, შეარჩიოს მიმწოდებელი, დადოს მასთან მიწოდების ხელშეკრულება მისთვის მისაღები პირობებით და მიიღოს მიწოდების მომსახურება ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვით.

4. მომხმარებელს უფლება აქვს, ამ წესებით დადგენილი პირობებით, შეცვალოს მიმწოდებელი. დაუშვებელია, მიმწოდებელმა ან სხვა პირმა ხელი შეუშალოს მომხმარებელს მიმწოდებლის შეცვლის უფლების განხორციელებისას.

5. მომხმარებელი უფლებამოსილია, მიწოდების ხელშეკრულებისა და საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე, უსასყიდლოდ მიიღოს ელექტროენერგიის მოხმარების შესახებ ყველა საჭირო ინფორმაცია და აღრიცხვის მონაცემები.

6. ამ წესებით დადგენილი პირობები წარმოადგენს მიწოდების ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. დაუშვებელია მომხმარებლისათვის ისეთი ვალდებულების დაკისრება, რაც პირდაპირ არ არის გათვალისწინებული ამ წესებით.

7. დაუშვებელია მიმწოდებლის მიერ მომხმარებლის დავალდებულება, გადაიხადოს მომსახურების საფასურის გარდა რაიმე სხვა სახის საფასური ან გადასახდელი, გარდა ამ წესებით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა.

8. დაუშვებელია მიმწოდებლის მიერ მომხმარებლისთვის ისეთი მოთხოვნის წაყენება, რომელიც არ გამომდინარეობს კანონმდებლობიდან ან/და მათ შორის გაფორმებული ხელშეკრულებიდან, მათ შორის, შესაბამისი წერილობითი თანხმობის გარეშე, ერთი მომხმარებლის დავალიანების გადაკისრება სხვა მომხმარებელზე.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2021 წლის 25 ნოემბრის დადგენილება №52 - ვებგვერდი, 30.11.2021 წ.

მუხლი 5. მიწოდება საჯარო მომსახურების ვალდებულების სახით

1. ელექტროენერგეტიკული საწარმო, რომელიც ახორციელებს მიწოდებას საჯარო მომსახურების ვალდებულების სახით, ვალდებულია, მომხმარებელს გაუწიოს მომსახურება რეგულირებული პირობებით და, შესაბამის შემთხვევებში, კომისიის მიერ დადგენილი ფასით, საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის, ამ წესების შესაბამისად.

2. საჯარო მომსახურების ვალდებულების სახით მიწოდებას ახორციელებს:

ა) უნივერსალური მომსახურების მიმწოდებელი;

ბ) ბოლო ალტერნატივის მიმწოდებელი;

გ) საჯარო მომსახურების სახით ელექტროენერგიის მიმწოდებელი.

3. კომისია, კომპეტენციის ფარგლებში, უზრუნველყოფს საჯარო მომსახურების ვალდებულების სახით მიმწოდებლის საქმიანობის გამჭვირვალობასა და არადისკრიმინაციულობას.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2022 წლის 24 თებერვლის დადგენილება №3 - ვებგვერდი, 25.02.2022 წ.

მუხლი 6. კონკურენციის ხელშეწყობა

1. კომისია, კომპეტენციის ფარგლებში და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, უზრუნველყოფს:

ა) ელექტროენერგიის საცალო ბაზარზე კონკურენციის ხელშეწყობას;

ბ) კონკურენციის შემზღუდველი ქმედებების თავიდან აცილებას;

გ) სხვა უფლებამოსილებების განხორციელებას კანონის, „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონისა და კომისიის სამართლებრივი აქტების მოთხოვნათა შესაბამისად.

2. საცალო ბაზარზე კონკურენციის ხელშეწყობის მიზნით, კომისია უფლებამოსილია, კანონისა და ამ წესების მოთხოვნათა შესაბამისად, თავისუფალი მიმწოდებლის მიერ მომხმარებლისთვის ამ წესების

შესაბამისად წარდგენილი ინფორმაცია ხელმისაწვდომი გახადოს ენერგეტიკული ბაზრის ყველა მონაწილისთვის იმ პირობით, რომ არ გამოქვეყნდება ბაზრის კონკრეტულ მონაწილეებთან ან/და მათ მიერ დადებულ გარიგებებთან დაკავშირებული კომერციული საიდუმლოების შემცველი ინფორმაცია.

3. კომისია აქვეყნებს და საჭიროებისამებრ განაახლებს ამ წესების მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე მიმწოდებლის მიერ კომისიისათვის წარდგენილ ინფორმაციას, გარდა ბაზრის კონკრეტულ მონაწილეებთან ან/და მათ მიერ განხორციელებულ ოპერაციებთან დაკავშირებული კომერციული საიდუმლოების შემცველი ინფორმაციისა.

თავი II. მიწოდების წესები

მუხლი 7. მიწოდების ხელშეკრულება

1. მიწოდების ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელი უზრუნველყოფს მიწოდებას, ხოლო მომხმარებელი იღებს ვალდებულებას, გადაიხადოს მომსახურების საფასური და დაიცვას საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის, ამ წესებითა და მიწოდების ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობები.

2. მიმწოდებელი უზრუნველყოფს მომხმარებლისთვის შეთავაზებული მიწოდების ხელშეკრულების პირობების შესაბამისობას ამ წესებთან. მიწოდების ხელშეკრულების პირობები უნდა იყოს სამართლიანი და ნათლად და არაორაზროვნად ადგენდეს მიმწოდებლისა და მომხმარებლის უფლება-მოვალეობებს.

3. ბათილია მიწოდების ხელშეკრულების ის დებულება, რომელიც არ შეესაბამება კანონისა და ამ წესების მოთხოვნებს. მიწოდების ხელშეკრულების რომელიმე დებულების ბათილობა გავლენას არ ახდენს მიწოდების ხელშეკრულების სხვა დებულებების ნამდვილობაზე.

4. მიწოდების ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს მატერიალური ან ელექტრონული ფორმით, არანაკლებ 3 თვის ვადით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. მომხმარებელი უფლებამოსილია, რამდენიმე აღრიცხვის კვანძზე მიმწოდებელთან დადოს ერთი მიწოდების ხელშეკრულება.

6. მიწოდების ხელშეკრულება უნდა შეიცავდეს:

ა) მიმწოდებლის საიდენტიფიკაციო მონაცემებს, მათ შორის, მიმწოდებლის რეკვიზიტებს, მისამართსა და საკონტაქტო ინფორმაციას (ელექტრონული ფოსტა და 24-საათიანი ქოლცენტრის ნომერი);

ბ) მომხმარებლის საიდენტიფიკაციო მონაცემებს, მათ შორის, აბონენტის ნომერს, საკონტაქტო ინფორმაციას (ელექტრონული ფოსტა, ტელეფონის ნომერი, ფაქტობრივი მისამართი და მიწოდების მისამართი), მომხმარებლის სურვილის შემთხვევაში – ალტერნატიული საკონტაქტო პირის მონაცემებს;

გ) მომსახურების საფასურის გადახდაზე პასუხისმგებელი პირის საიდენტიფიკაციო მონაცემებს – თუ ის არ არის ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომხმარებელი;

დ) მიწოდების დაწყების თარიღს;

ე) მიწოდების ფასს ან კომისიის მიერ დადგენილ ტარიფს, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

ვ) მომსახურების საფასურის გადახდის პერიოდულობას, წესსა და საშუალებებს;

ზ) შეტყობინების გაგზავნისა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული ინფორმაციის გაცვლის საშუალებებს;

თ) პირგასამტეხლოს დაკისრებასთან დაკავშირებულ პირობებს – მხარეთა შეთანხმების შემთხვევაში, ამ წესებით დადგენილი პირობების დაცვით;

ი) ხელშეკრულების მოქმედების ვადას;

კ) ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელების წესს;

ლ) მითითებას იმ გარემოებებზე, რომელთა არსებობის შემთხვევაში, მიმწოდებელს წარმოეშობა დეპოზიტის მოთხოვნის უფლება;

მ) მითითებას მომხმარებლის იმ ვალდებულებებზე, რომელთა შეუსრულებლობას, შესაძლოა, შედეგად მოჰყვეს მიწოდების შეწყვეტა;

ნ) მითითებას პასუხისმგებლობის გამომრიცხავ (ფორსმაჟორულ) გარემოებებზე;

ო) მითითებას ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის უფლებასა და ამ უფლების განხორციელების პირობებზე;

პ) მომხმარებლის მიერ წინსწრებით გადახდილი თანხის დაბრუნების წესს;

ჟ) მითითებას მიმწოდებლის მიერ მომხმარებლის პრეტენზიის განხილვის წესზე;

რ) მითითებას სადავო საკითხების განხილვის წესზე.

7. თავისუფალ მიმწოდებელსა და არასაყოფაცხოვრებო მომხმარებელს შორის დადებული მიწოდების ხელშეკრულება, შესაძლოა, ითვალისწინებდეს არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლის მიერ მომსახურების საფასურის ან მისი რომელიმე კომპონენტის, მათ შორის, მიწოდების ფასის წინსწრებით გადახდის ვალდებულებას.

7^1. თავისუფალ მიმწოდებელსა და მსხვილ მომხმარებელს შორის დადებული მიწოდების ხელშეკრულება, შესაძლებელია, ითვალისწინებდეს მიწოდების ცვალებად ფასს.

8. მიმწოდებელი ვალდებულია, მიწოდების ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლამდე ორი თვით ადრე, აღნიშნულის თაობაზე აცნობოს მომხმარებელს. თუ მომხმარებელი არ დაიწყებს მიმწოდებლის შეცვლის პროცედურას ამ წესების V თავის შესაბამისად ან ხელშეკრულების რომელიმე მხარე უარს არ იტყვის ხელშეკრულების გაგრძელებაზე, მიწოდების ხელშეკრულება ავტომატურად გაგრძელდება იმავე ვადით. თუ ხელშეკრულება დადებულია სამი თვის ვადით, მიმწოდებელი ვალდებულია, მომხმარებელს მიწოდების ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის შესახებ აცნობოს გონივრული ვადით ადრე.

9. იმ შემთხვევაში, თუ მიწოდების ხელშეკრულება იდება შუამავლის მეშვეობით ან მომხმარებელმა მიწოდების ხელშეკრულების დადების შეთავაზება მიიღო თავისუფალი მიმწოდებლის მომსახურების ცენტრის გარეთ, მათ შორის, მომხმარებლის საცხოვრებელ, სამუშაო ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა ადგილას, მიმწოდებელი ვალდებულია, მიწოდების ხელშეკრულების დადებამდე მომხმარებელს მიაწოდოს დეტალური ინფორმაცია:

ა) ამ წესების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტით, მე-7-მე-9 მუხლებითა და მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული უფლებების თაობაზე;

ბ) მიწოდების ფასის ან/და კომისიის მიერ დადგენილი ტარიფის შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

გ) მომხმარებლის უფლების თაობაზე, შეწყვიტოს ამ პუნქტის შესაბამისად დადებული მიწოდების ხელშეკრულება ორი კვირის ვადაში, ყოველგვარი შეზღუდვის, მათ შორის, რაიმე სახის პირგასამტეხლოს ან დამატებითი გადასახდელის გარეშე.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2021 წლის 28 ივნისის დადგენილება №25 - ვებგვერდი, 30.06.2021 წ.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2021 წლის 25 ნოემბრის დადგენილება №52 - ვებგვერდი, 30.11.2021 წ.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2021 წლის 31 დეკემბრის დადგენილება №79 - ვებგვერდი, 31.12.2021 წ.

მუხლი 8. მიწოდების ხელშეკრულების სტანდარტული პირობები. მომხმარებლის მიერთება მიწოდების ხელშეკრულებასთან

1. მიმწოდებელი ვალდებულია, საყოფაცხოვრებო მომხმარებელსა და მცირე საწარმოსთან მიწოდების ხელშეკრულებები დადოს კომისიის მიერ დამტკიცებული მიწოდების ხელშეკრულების სტანდარტული პირობების შესაბამისად.

2. მიწოდების ხელშეკრულების სტანდარტული პირობები უნდა მოიცავდეს ამ წესების მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის „ვ“-„რ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ინფორმაციას.

3. მიწოდების ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებს შეიმუშავებს მიმწოდებელი და კომისიის მიერ მისი დამტკიცების შემდგომ აქვეყნებს ვებგვერდზე. მიმწოდებელი უფლებამოსილია, შეიმუშაოს მიწოდების ხელშეკრულების განსხვავებული სტანდარტული პირობები მომხმარებელთა კატეგორიების (საყოფაცხოვრებო მომხმარებელი, მცირე საწარმო, მსხვილი მომხმარებელი, სხვა არასაყოფაცხოვრებო მომხმარებელი, გარდა მცირე საწარმოსი და მსხვილი მომხმარებლისა) მიხედვით.

4. თავისუფალი მიმწოდებელი უფლებამოსილია, მიწოდების ხელშეკრულება არასაყოფაცხოვრებო მომხმარებელთან, გარდა მცირე საწარმოსი, დადოს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სტანდარტული პირობებისაგან განსხვავებული პირობებით.

5. მიწოდების ხელშეკრულება დადებულად ითვლება მიმწოდებლის მიერ მომხმარებლისთვის ამ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული შეტყობინების გაგზავნისთანავე.

6. მიწოდების ხელშეკრულებასთან მიერთების მიზნით, ხელმოწერილ მიწოდების ხელშეკრულებასთან ერთად, მომხმარებელმა მიმწოდებელს უნდა წარუდგინოს:

ა) უძრავი ქონების საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი, უძრავი ქონების მესაკუთრის თანხმობა ან, საყოფაცხოვრებო მომხმარებლის შემთხვევაში – დოკუმენტი, რომელიც წარმოადგენს საკუთრების უფლების რეგისტრაციის საფუძველს;

ბ) ამ წესების მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების საფასურის გადახდაზე პასუხისმგებელი პირის არსებობის შემთხვევაში – მისი თანხმობა.

6^1. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელს ერთსა და იმავე უძრავ ქონებაზე წარედგინა ამ მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მესაკუთრის ერთზე მეტი თანხმობა, მიმწოდებელი ვალდებულია, მიწოდების ხელშეკრულება დადოს იმ მომხმარებელთან, რომელიც მას წარუდგენს უძრავი ქონების მესაკუთრის უფრო ახალ თანხმობას. ამ პუნქტის შესაბამისად მიწოდების ხელშეკრულების დადება წარმოადგენს ამავე უძრავ ქონებაზე მანამდე დადებული მიწოდების ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველს.

6^2. მიმწოდებელი მომხმარებელს დაუყოვნებლივ აცნობებს მიწოდების ხელშეკრულების მიღების თაობაზე და მომხმარებლის მიერ მითითებულ ტელეფონის ნომერზე მოკლე ტექსტური შეტყობინების სახით უგზავნის მომხმარებლის მიერ წარდგენილი მიწოდების ხელშეკრულების რეგისტრაციის ნომერს, თარიღსა და კომისიის მიერ დამტკიცებული მომსახურების ხარისხის წესებით გათვალისწინებულ ელექტრონულ ჟურნალში რეგისტრაციის ნომერს.

6^3. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი მიიჩნევს, რომ მომხმარებლის მიერ წარდგენილი მიწოდების ხელშეკრულება არ აკმაყოფილებს ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, იგი

აცნობებს მომხმარებელს აღნიშნულის თაობაზე და განუსაზღვრავს გონივრულ ვადას ხარვეზის გამოსასწორებლად, რომელიც არ უნდა იყოს სამ დღეზე ნაკლები.

7. მომხმარებლის მიერ ამ მუხლის 6^3 პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში ხარვეზის აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია, უარი თქვას მიწოდების ხელშეკრულების დადებაზე, რის შესახებაც დაუყოვნებლივ აცნობებს მომხმარებელს მოკლეტექსტური შეტყობინებით.

8. მომხმარებლის მიერ მიწოდების ხელშეკრულებისა და ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების წარდგენიდან, ან ამ მუხლის 6^3 პუნქტის შესაბამისად, ხარვეზის აღმოფხვრიდან ორი დღის ვადაში, მიმწოდებელი მოკლეტექსტური შეტყობინებით აცნობებს მომხმარებელს მიწოდების ხელშეკრულების დადების თაობაზე.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2021 წლის 25 ნოემბრის დადგენილება №52 - ვებგვერდი, 30.11.2021 წ.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2022 წლის 24 თებერვლის დადგენილება №3 - ვებგვერდი, 25.02.2022 წ.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2022 წლის 1 სექტემბრის დადგენილება №47 - ვებგვერდი, 06.09.2022 წ.

მუხლი 9. მიწოდების ხელშეკრულების პირობების შეცვლის წესი

1. მიმწოდებელი უფლებამოსილია, მიწოდების ხელშეკრულების პირობები ცალმხრივად შეცვალოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამის შესახებ პირდაპირ არის მითითებული მიწოდების ხელშეკრულებაში.

2. თუ მიწოდების ხელშეკრულებით უფრო ხანგრძლივი ვადა არ არის გათვალისწინებული, მიმწოდებელი ვალდებულია, ინფორმაცია მიწოდების ხელშეკრულების პირობების შეცვლის თაობაზე მომხმარებელს აცნობოს ერთი თვით ადრე, გარდა ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

3. თუ მომხმარებელი მიწოდების ხელშეკრულების პირობების ცვლილების თაობაზე ერთი თვის ვადაში წერილობით არ განაცხადებს უარს, ხელშეკრულება გაგრძელდება შეცვლილი პირობებით, გარდა ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა. მომხმარებელს უფლება აქვს, უარი განაცხადოს მიწოდების ხელშეკრულების შეცვლილი პირობების მიღებაზე და შეცვალოს მიმწოდებელი ამ წესების V თავით დადგენილი წესით.

4. მომხმარებელი მიწოდების ფასის, აგრეთვე, არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლის შემთხვევაში – პირგასამტეხლოს ოდენობის შეცვლის თაობაზე თავისუფალ მიმწოდებელს თანხმობას წარუდგენს წერილობით, რაც მიწოდების ხელშეკრულების შეცვლილი პირობით გაგრძელების წინაპირობაა. მომხმარებლის მიერ წერილობითი თანხმობის წარუდგენლობის შემთხვევაში, თავისუფალი მიმწოდებელი უფლებამოსილია, მიწოდების ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლისთანავე, მიმართოს შესაბამის სისტემის ოპერატორს მომხმარებლისათვის მიწოდების შეწყვეტის მოთხოვნით, მიწოდების შეწყვეტის საფუძვლის მითითებით.

5. თუ მიწოდების ხელშეკრულების პირობების ცვლილება გამოწვეულია საქართველოს კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებით, მათ შორის, კომისიის მიერ დადგენილი ტარიფის ცვლილებით, მიმწოდებელი ვალდებულია, ამის შესახებ მომხმარებელს აცნობოს დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს შესაბამისი ცვლილების ძალაში შესვლიდან 10 დღისა.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2021 წლის 28 ივნისის დადგენილება №25 - ვებგვერდი, 30.06.2021 წ.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2021 წლის 31 დეკემბრის დადგენილება №79 - ვებგვერდი, 31.12.2021 წ.

მუხლი 10. საჯარო შეთავაზება

1. საჯარო შეთავაზების გამოქვეყნებით თავისუფალი მიმწოდებელი მომხმარებლებს სთავაზობს მიწოდების თანაბარ პირობებს. საჯარო შეთავაზება შეიძლება განსხვავდებოდეს მომხმარებლის კატეგორიის, აგრეთვე, მომსახურების ხანგრძლივობის, ფასის, შესასყიდი ელექტროენერგიის მაქსიმალური მოცულობის ან/და სხვა კრიტერიუმის შესაბამისად. მიმწოდებლის მოქმედი საჯარო შეთავაზებების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ხუთს.

2. იმ შემთხვევაში, თუ თავისუფალი მიმწოდებელი დებს მიწოდების ხელშეკრულებას მოქმედი საჯარო შეთავაზებებისაგან განსხვავებული პირობებით, იგი ვალდებულია, გამოაქვეყნოს საჯარო შეთავაზება ანალოგიური პირობებით მიწოდების ხელშეკრულების დადებიდან არაუგვიანეს მეორე დღისა.

3. საჯარო შეთავაზების განხორციელების მიზნით, თავისუფალი მიმწოდებელი ვებგვერდზე აქვეყნებს და კომისიას იმავე დღეს წარუდგენს:

ა) საჯარო შეთავაზებას, რომელიც, სულ მცირე, უნდა შეიცავდეს:

ა.ა) საჯარო შეთავაზების საიდენტიფიკაციო ნომერს;

ა.ბ) გამოქვეყნების თარიღს;

ა.გ) შესასყიდი ელექტროენერგიის მაქსიმალურ მოცულობას, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

ა.დ) მიწოდების ფასს – საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სავალდებულო გადასახადების მითითებით;

ა.ე) არსებული სისტემის ოპერატორების გადაცემისა და განაწილების ტარიფებს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სავალდებულო გადასახადების მითითებით;

ა.ვ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა გადასახდელებს;

ა.ზ) არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლისთვის განკუთვნილი საჯარო შეთავაზების შემთხვევაში – პირგასამტეხლოს ოდენობას, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

ა.თ) საჯარო შეთავაზების მოქმედების ვადას;

ა.ი) ინფორმაციას მომხმარებლის მიერ ამ საჯარო შეთავაზების მიღებისა და შესაბამის მიწოდების ხელშეკრულებასთან მიერთების უფლების თაობაზე.

ბ) საჯარო შეთავაზების შესაბამის მიწოდების ხელშეკრულებას.

4. საჯარო შეთავაზების მოქმედების ვადა არ უნდა იყოს მისი გამოქვეყნებიდან ორ კვირაზე ნაკლები.

5. მომხმარებელი უფლებამოსილია, საჯარო შეთავაზების მოქმედების ვადის განმავლობაში, ნებისმიერ დროს მიუერთდეს შესაბამის მიწოდების ხელშეკრულებას. ამ პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, მომხმარებელი უფლებამოსილია, თავისუფალ მიმწოდებელს წარუდგინოს შესაბამისი მიწოდების ხელშეკრულების ხელმოწერილი ეგზემპლარი, ამ წესების მე-8 მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

5^1. იმ შემთხვევაში, თუ ამ წესების მე-8 მუხლის 6^3 პუნქტის შესაბამისად, მომხმარებლისთვის ხარვეზის აღმოსაფხვრელად განსაზღვრული ვადის განმავლობაში ამოიწურა საჯარო შეთავაზების მოქმედების ვადა, აღნიშნული არ მოახდენს გავლენას მომხმარებლის უფლებაზე, აღმოფხვრას ხარვეზი და მიუერთდეს მიწოდების ხელშეკრულებას ამ წესების მე-8 მუხლით განსაზღვრული პირობების დაცვით.

6. თუ თავისუფალი მიმწოდებლისთვის ხელმისაწვდომი ელექტროენერგიის მოცულობა შეზღუდულია, იგი უფლებამოსილია, შესაბამისი მოცულობის ამოწურვისთანავე, გააუქმოს საჯარო შეთავაზება მასში მითითებული, მათ შორის, ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ვადის გასვლამდე.

7. თავისუფალი მიმწოდებელი უფლებამოსილია, არ განახორციელოს საჯარო შეთავაზება, თუ ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად მიწოდების ხელშეკრულების დადების შედეგად სრულად ამოიწურა გასაყიდი ელექტროენერგიის მოცულობა.

8. ამ მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტები გამოიყენება მხოლოდ თავისუფალი მიმწოდებლის მიერ ორმხრივი ხელშეკრულების საფუძველზე შესყიდულ ელექტროენერგიასთან მიმართებით. თავისუფალი მიმწოდებელი ვალდებულია, ამ მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევების დადგომის თაობაზე, სათანადო დასაბუთებით, იმავე დღეს აცნობოს კომისიას.

9. კომისია უფლებამოსილია, არ გაითვალისწინოს თავისუფალი მიმწოდებლის დასაბუთება და დაავალოს მას საჯარო შეთავაზების განთავსება ან/და გაგრძელება, მათ შორის, იმ შემთხვევაში, თუ:

ა) თავისუფალი მიმწოდებელი ამ მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტებით გათვალისწინებულ უფლებამოსილებას ახორციელებს კონკრეტული მომხმარებლის ან/და მომხმარებლების სასარგებლოდ;

ბ) თავისუფალი მიმწოდებლის მიერ გაფორმებული ორმხრივი ხელშეკრულებით განზრახ არის შეზღუდული ხელმისაწვდომი ელექტროენერგიის მოცულობა ამ მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტების შესაბამისად საჯარო შეთავაზების განხორციელების ვალდებულებისაგან თავის არიდების მიზნით.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2022 წლის 24 თებერვლის დადგენილება №3 - ვებგვერდი, 25.02.2022 წ.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2022 წლის 1 სექტემბრის დადგენილება №47 - ვებგვერდი, 06.09.2022 წ.

მუხლი 11. მიმწოდებლის ვალდებულებები

1. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს მომხმარებლის ინფორმირება მისი უფლებების, მოქმედი რეგულაციებისა და დავის გადაწყვეტის გზების შესახებ;

ბ) ჰქონდეს ტექნიკურად გამართული და მომხმარებლის საჭიროებებზე მორგებული ვებგვერდი, რომელზეც განათავსებს ამ წესებით გათვალისწინებულ ინფორმაციას.

გ) მიიღოს სათანადო ზომები მომხმარებლის ინტერესების დაცვის მიზნით;

დ) საქმიანობის განხორციელებისას დაიცვას კანონითა და ამ წესებით დადგენილი სხვა მოთხოვნები;

ე) მომხმარებელს შესთავაზოს მომსახურების საფასურის გადახდის რამდენიმე საშუალება. გადახდის სხვადასხვა საშუალებასთან დაკავშირებულ პირობებს შორის ნებისმიერი სხვაობა უნდა ასახავდეს მიმწოდებლის ხარჯებს შესაბამის გადახდის საშუალებასთან მიმართებით;

ვ) უზრუნველყოს მომხმარებლის პრეტენზიის ეფექტიანად და უფასოდ განხილვა;

ზ) კანონმდებლობით დადგენილი წესით დადოს სათანადო ხელშეკრულება ყველა სისტემის ოპერატორთან, შესაბამის სალიცენზიო არეალში არსებული მომხმარებლისთვის მიწოდების უზრუნველსაყოფად;

თ) უზრუნველყოს ამ პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების შესაბამისად სისტემის ოპერატორისათვის მომსახურების საფასურის გადახდა, გარდა იმ სასისტემო მომსახურების საფასურისა, რომლის გადახდის ვალდებულებისგანაც მომხმარებელი გათავისუფლებულია საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის, ამ წესების შესაბამისად.

2. მიმწოდებელი ვალდებულია, შეიმუშაოს, გამოაქვეყნოს და ყოველწლიურად განაახლოს სამოქმედო პროგრამა, რომლის მიზანია:

ა) დაეხმაროს მომხმარებელს სახელშეკრულებო ვალდებულებების სათანადოდ შესრულებაში, რათა თავიდან იქნეს აცილებული მიწოდების შეწყვეტა, მათ შორის:

ა.ა) უზრუნველყოს მომხმარებლისთვის ინფორმაციის მიწოდება „ენერგოეფექტურობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ენერგიის დაზოგვის საშუალებების თაობაზე;

ა.ბ) მიაწოდოს ინფორმაცია ამ წესების 25-ე მუხლით გათვალისწინებული მომხმარებელთა დაცვის დამატებითი მექანიზმების თაობაზე;

ბ) ხელი შეუწყოს ტერიტორიულად დაშორებული მომხმარებლისთვის ელექტროენერგიის მიწოდებას, მათ შორის:

ბ.ა) ასეთი მომხმარებლისთვის საჯარო შეთავაზებებისა და მიწოდების მომსახურების პირობების შესახებ ინფორმაციის იოლ ხელმისაწვდომობას;

ბ.ბ) იმ დასახლებულ პუნქტებში, სადაც არ არის კომერციული ბანკის ფილიალი ან გადახდის სხვა საშუალება, მომხმარებლისთვის მომსახურების საფასურის გადახდის სხვა ხელმისაწვდომი საშუალებების უზრუნველსაყოფად მიიღოს გონივრული ზომები.

3. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს მომხმარებელთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელი დასაქმებულებისა და წარმომადგენლების სათანადო ცოდნითა და უნარ-ჩვევებით აღჭურვა, მომხმარებლებთან ეფექტიანი კომუნიკაციის განსახორციელებლად მათთვის აუცილებელი ინფორმაციის მიწოდება, აგრეთვე, მათი კვალიფიკაციის რეგულარული ამაღლება.

4. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) კანონით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად, არანაკლებ 5 წლის ვადით შეინახოს ტრეიდერებთან, სისტემების ოპერატორებთან და მომხმარებლებთან დადებული ხელშეკრულებები, აგრეთვე, ელექტროენერგიის დერივატივებით განხორციელებულ ოპერაციებთან დაკავშირებული ინფორმაცია და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით წარუდგინოს კომისიას;

ბ) კომისიას ყოველთვიურად წარუდგინოს ინფორმაცია ამ წესების მე-14 მუხლის შესაბამისად განხილული პრეტენზიების თაობაზე, რომელიც უნდა შეიცავდეს მომხმარებელთა მიერ წარდგენილი პრეტენზიების რაოდენობას, დაკმაყოფილებული პრეტენზიების რაოდენობას, აგრეთვე, პრეტენზიის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შემთხვევაში – შესაბამის საფუძვლებზე მითითებას.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2022 წლის 24 თებერვლის დადგენილება №3 - ვებგვერდი, 25.02.2022 წ.

მუხლი 12. მომხმარებლის ინფორმირების ვალდებულება

1. მიმწოდებელი ვალდებულია, ვებგვერდზე გამოაქვეყნოს და რეგულარულად განაახლოს, სულ მცირე, შემდეგი ინფორმაცია:

ა) ზოგადი ინფორმაცია მიმწოდებლის შესახებ (მათ შორის, სახელწოდება და იურიდიული მისამართი, ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირის/პირების შესახებ ინფორმაცია);

ბ) მიმწოდებლის საკონტაქტო ინფორმაცია – მისამართი, ქოლცენტრის ნომერი, ელექტრონული ფოსტა;

გ) ინფორმაცია მომხმარებლის უფლებების შესახებ, მათ შორის, მიმწოდებლის შერჩევისა და შეცვლის პროცედურასთან დაკავშირებით;

დ) მომხმარებლის პრეტენზიისა და სადავო საკითხების განხილვასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაცია;

ე) ინფორმაცია მომსახურების საფასურისა და მისი გადახდის წესის შესახებ;

ვ) მიმწოდებლის წლიური ფინანსური ანგარიშები;

ზ) ინფორმაცია საჯარო შეთავაზებებსა და მათი მოქმედების ვადების თაობაზე;

თ) მიწოდების ხელშეკრულების სტანდარტული პირობები, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

2. მიმწოდებლის მიერ მომხმარებლისათვის მიწოდებული, მათ შორის, ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაცია უნდა იყოს სანდო, უტყუარი და მომხმარებელს აძლევდეს სხვა მიმწოდებლის მიერ გამოქვეყნებულ, მსგავსი სახის ინფორმაციასთან შედარების შესაძლებლობას.

3. მიმწოდებელი ვალდებულია, უზრუნველყოს ქოლცენტრით მომსახურება, რომლის მეშვეობით მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს, სულ მცირე, შემდეგი ინფორმაცია:

ა) მიწოდების ფასები, კომისიის მიერ დადგენილი ტარიფები და მიწოდების პირობები;

ბ) მიმწოდებლის მოქმედი საჯარო შეთავაზებები;

გ) მიმწოდებლის უფასოდ შეცვლის პროცედურის შესახებ ინფორმაცია;

დ) პრეტენზიის განხილვის ვადა და წესი;

ე) სადავო საკითხის განხილვის წესი, კომისიასა და მოხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველისათვის მიმართვის უფლების შესახებ ინფორმაცია;

ვ) მომხმარებელსა და მიმწოდებელს შორის დადებული მიწოდების ხელშეკრულების მოქმედების ვადა და პირობები;

ზ) მომხმარებელზე დარიცხული მომსახურების საფასურის ოდენობა და გადახდის ვადა, გადაუხდელობის შედეგები;

თ) მომხმარებლის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის მოცულობა;

ი) მომსახურების საფასურის გადახდის საშუალებები;

კ) რეკომენდაციები მოხმარების შემცირებისა და ენერგოეფექტურობის ხელშეწყობის სხვა ღონისძიებების თაობაზე;

ლ) ინფორმაცია მომარაგების დაგეგმილი და დაუგეგმავი წყვეტებისა და მიწოდების აღდგენის დროის თაობაზე.

4. მიმწოდებელი ვალდებულია, კომისიის სამართლებრივი აქტით დადგენილი წესითა და პირობებით, მომხმარებლისთვის მომსახურების გაწევა უზრუნველყოს კომისიის მიერ განსაზღვრული მომსახურების კოდის მეშვეობით. ამ პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების კოდი შეიძლება წარმოადგენდეს ასოების, ციფრებისა და სიმბოლოების კომბინაციას, რომელთა გამოყენებით მომხმარებელს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, მიმწოდებლისგან მოითხოვოს ინფორმაციის მიწოდება ან მომსახურების გაწევა.

5. მიმწოდებელი ვალდებულია, ვებგვერდზე გამოაქვეყნოს და მიწოდების დაწყებამდე მომხმარებელს გადასცეს საინფორმაციო ბარათი, რომელიც უნდა შეიცავდეს ამ მუხლის მე-3 პუნქტის „გ“-„ე“ და „ი“-„კ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ინფორმაციას. მიმწოდებელი უფლებამოსილია, საინფორმაციო ბარათში დამატებით ასახოს სხვა პრაქტიკული ინფორმაცია, მომხმარებელთა მიმართვიანობისა და საკითხისადმი მაღალი ინტერესის გათვალისწინებით. მიმწოდებელი ვალდებულია, მომხმარებელს საინფორმაციო ბარათი გადასცეს იმავე ფორმით, როგორც აწვდის ქვითარს, ამ წესების მე-16 მუხლის მე-2, მე-4 და მე-5 პუნქტების შესაბამისად.

6. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი იყენებს სარეკლამო მასალებს, მან უნდა მიუთითოს:

ა) ელექტროენერგიაზე მომხმარებლის მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით, მიმწოდებლის მიერ გამოყენებულ მიწოდების მთლიან პორტფელში ენერგიის თითოეული წყაროს წილის შესახებ ინფორმაცია, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

ბ) ინფორმაციის ისეთი წყაროები, სადაც საჯაროდ ხელმისაწვდომია მონაცემები მიმწოდებლის მიერ წინა წლის განმავლობაში გამოყენებული ენერგიის წარმოების წყაროების გარემოზე ზემოქმედების შესახებ;

გ) ინფორმაცია სადავო საკითხების განხილვასთან დაკავშირებით მომხმარებლის უფლებების შესახებ.

7. განახლებადი წყაროებიდან წარმოებული ელექტროენერგიის მიწოდებისას, მიმწოდებელი ვალდებულია, უზრუნველყოს განახლებადი წყაროებიდან მიღებული ელექტროენერგიის წილის ან მოცულობის შესახებ ჯამური ინფორმაციის მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომობა, მიღებული გარემოსდაცვითი ან სხვა სარგებლის მითითებით.

8. მიმწოდებელი ვალდებულია, „ენერგოეფექტურობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, უზრუნველყოს მომხმარებლის მიერ ელექტროენერგიის მოხმარების შესახებ ისტორიული მონაცემების ხელმისაწვდომობა:

ა) ჯამური მონაცემების სახით, ბოლო 3 წლის ან, თუ მომხმარებლის შესახებ მონაცემების ისტორია 3 წელზე მცირეა, მისთვის მიწოდების დაწყების დღიდან, მიმწოდებლის მიერ მომხმარებლების შესახებ მონაცემთა ბაზაში ამ მონაცემების შეტანის ინტერვალების შესაბამისად;

ბ) დეტალური მონაცემების სახით, აღრიცხვის „ჭკვიანი“ სისტემების დანერგვის შემთხვევაში, რეალური დროის მიხედვით ნებისმიერი დღისთვის, კვირისთვის, თვისა და წლისთვის, ბოლო 24 თვისთვის ან, თუ ეს პერიოდი 24 თვეზე მცირეა – აღრიცხვის „ჭკვიანი“ სისტემების დანერგვის შემდგომი პერიოდისთვის.

9. ამ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის მიმწოდებლისთვის გადაცემაზე პასუხისმგებელია შესაბამისი სისტემის ოპერატორი.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2021 წლის 31 დეკემბრის დადგენილება №79 - ვებგვერდი, 31.12.2021 წ.

მუხლი 13. მომსახურების ცენტრი

1. მიმწოდებელი, რომელიც ემსახურება საყოფაცხოვრებო მომხმარებელს ან/და მცირე საწარმოს, მომხმარებლებისთვის მომსახურების გაწევის მიზნით, ქმნის არანაკლებ ერთ მომსახურების ცენტრს. დასაშვებია მომსახურების ცენტრის განთავსება სხვა იურიდიული პირის კუთვნილ ადმინისტრაციულ შენობაში ან/და მომსახურების ცენტრში, თუ ეს არ ეწინააღმდეგება კანონითა და კომისიის სამართლებრივი აქტით დადგენილ სისტემის ოპერატორის განცალკევების მოთხოვნებს.

2. მომსახურების ცენტრი მომხმარებელს, როგორც ტელეფონისა და ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ისე – მომხმარებლის უშუალო ვიზიტისას, აწვდის, სულ მცირე, ამ წესების მე-12 მუხლის

პირველი და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებულ ინფორმაციას. მომხმარებელი უფლებამოსილია, მომსახურების ცენტრში მოითხოვოს მიწოდების ხელშეკრულების, მიმწოდებლის შეცვლის შესახებ განაცხადის, აგრეთვე, ასეთის არსებობის შემთხვევაში – პრეტენზიის ფორმისა და სხვა სახის განაცხადის ფორმის მატერიალური სახით მიღება.

3. მომსახურების ცენტრში მომხმარებელს უნდა ჰქონდეს მიწოდების ხელშეკრულების დადებისა და პრეტენზიის წარდგენის შესაძლებლობა.

4. მიმწოდებელმა უნდა მიიღოს გონივრული ზომები იმისათვის, რომ მომსახურების ცენტრი იყოს მომხმარებლებისთვის თვალსაჩინოდ იდენტიფიცირებული.

5. მომსახურების ცენტრის სამუშაო საათების განსაზღვრისას, მიმწოდებელი ვალდებულია, მომხმარებელთა საჭიროების მიხედვით, უზრუნველყოს მომსახურების ცენტრის საღამოს 20:00 საათამდე ფუნქციონირება, სულ მცირე, კვირაში ერთხელ.

6. მომსახურების ცენტრში მომხმარებლის ვიზიტის განხორციელების მიზნით, შესაძლებელი უნდა იყოს წინასწარი ჩაწერა ტელეფონის ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, მიმწოდებლის მიერ წინასწარ განსაზღვრული განრიგის შესაბამისად და აღნიშნული განრიგი უნდა იყოს დაცული.

7. მიმწოდებელი უზრუნველყოფს შესაბამისი სისტემის ოპერატორისთვის ინფორმაციის მიწოდებას ან/და დახმარების გაწევას პრეტენზიებთან დაკავშირებით, რომლებიც წარდგენილია იმ მომხმარებლების მიერ, რომლებსაც ემსახურება მიმწოდებელი და რომლებიც ეხება გადაცემასთან ან/და განაწილებასთან დაკავშირებულ საკითხებს. მიმწოდებელი ვალდებულია, მომხმარებლის პრეტენზია, რომელიც შეეხება სისტემის ოპერატორის მიერ გასაწევ მომსახურებას, ერთი დღის ვადაში გადაუგზავნოს შესაბამის სისტემის ოპერატორს და აღნიშნულის თაობაზე აცნობოს მომხმარებელს.

8. მიმწოდებელი უფლებამოსილია, გარდა მომსახურების ცენტრისა, იქონიოს მომხმარებელთა მომსახურების მოძრავი პუნქტი, რომლის მარშრუტი მიმწოდებლის ვებგვერდზე გამოქვეყნდება, სულ მცირე, ერთი თვით ადრე.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2021 წლის 31 დეკემბრის დადგენილება №79 - ვებგვერდი, 31.12.2021 წ.

მუხლი 14. პრეტენზიის განხილვა. საპრეტენზიო კომისია

1. მიმწოდებელი, რომელიც ემსახურება საყოფაცხოვრებო მომხმარებელს ან/და მცირე საწარმოს, ვალდებულია, მომხმარებლების უფლებების დაცვის მიზნით, შექმნას საპრეტენზიო კომისია, რომელიც უზრუნველყოფს თანასწორუფლებიანობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის პრინციპების დაცვით მომხმარებლის პრეტენზიის განხილვასა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებას.

2. საპრეტენზიო კომისია უნდა შედგებოდეს, სულ მცირე, სამი წევრისგან. მიმწოდებელი ვალდებულია, საპრეტენზიო კომისიის წევრებად შეარჩიოს პირები, რომლებსაც გააჩნიათ დაკავშირებულ დარგებში საქმიანობის გამოცდილება და გამოირჩევიან მაღალი პროფესიონალიზმით, პასუხისმგებლობითა და ობიექტურობით.

3. საპრეტენზიო კომისიის წევრი უფლებამოსილი არ არის, მონაწილეობა მიიღოს პრეტენზიის განხილვაში, თუ:

ა) პირადად, პირდაპირ ან არაპირდაპირ დაინტერესებულია პრეტენზიის შედეგით ან არის სხვა ისეთი გარემოება, რომელიც ეჭვს იწვევს მის მიუკერძოებლობაში;

ბ) პრეტენზიის წარმდგენის ან მისი წარმომადგენლის ნათესავია;

გ) თვითონ ან მისი ოჯახის წევრი ფლობს აქციებს ან წილს იმ საწარმოში, რომელიც მიმწოდებელს

მიმართავს პრეტენზიით;

დ) მისი ოჯახის წევრი შრომით ურთიერთობაშია პრეტენზიის წარმდგენ მომხმარებელთან.

4. საპრეტენზიო კომისიის წევრი ვალდებულია, ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული გარემოების შესახებ საპრეტენზიო კომისიას აცნობოს დაუყოვნებლივ, როგორც კი მისთვის ცნობილი გახდება აღნიშნული გარემოების არსებობის შესახებ.

5. საპრეტენზიო კომისია პრეტენზიას განიხილავს მტკიცებულებების გამოკვლევისა და შეფასების საფუძველზე, მომხმარებლის ინტერესების გათვალისწინებით. საპრეტენზიო კომისია პრეტენზიის განხილვისას ხელმძღვანელობს კანონით, ამ წესებითა და კომისიის სხვა სამართლებრივი აქტებით, აგრეთვე, კომისიისა და სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკით. საპრეტენზიო კომისია ვალდებულია, მიიღოს ყველა შესაძლო გონივრული ზომა, რათა თავიდან იქნეს აცილებული კომისიის ან/და სასამართლოს მიერ იმ სადავო საკითხების განხილვა, რომლებზეც უკვე არსებობს ერთგვაროვანი, ჩამოყალიბებული პრაქტიკა.

6. საპრეტენზიო კომისიის მიერ პრეტენზიის განხილვის პროცედურას განსაზღვრავს მიმწოდებელი და წარუდგენს კომისიას.

7. საპრეტენზიო კომისია მომხმარებლის მიერ პრეტენზიის წარდგენიდან 10 დღის ვადაში აცნობებს მომხმარებელს პრეტენზიის დაკმაყოფილების ან მასზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიღების თაობაზე. პრეტენზიის დაკმაყოფილების შემთხვევაში, მიმწოდებელი დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 3 დღის ვადაში, უზრუნველყოფს გადაწყვეტილების შესრულებას, ხოლო დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შემთხვევაში, აცნობებს მომხმარებელს კომისიასთან არსებული მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველისთვის მიმართვის, აგრეთვე, ამ წესების 26-ე მუხლის შესაბამისად, კომისიისა და სასამართლოსთვის მიმართვის უფლების თაობაზე.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2021 წლის 31 დეკემბრის დადგენილება №79 - ვებგვერდი, 31.12.2021 წ.

მუხლი 15. მომსახურების საფასურის დარიცხვა

1. მომხმარებლისთვის მომსახურების საფასურის დარიცხვა ხორციელდება თითოეულ დარიცხვის პერიოდზე, გაწეული მომსახურების შესაბამისად.

2. მრიცხველის ყოველთვიურად წაკითხვასა და აღრიცხვის მონაცემების, სისტემის ოპერატორების მომსახურების საფასურის შესახებ ინფორმაციის, აგრეთვე, ამ წესების მე-12 მუხლის მე-3 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტით, მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“, „დ“, “ე“, „ვ.ბ“-„ვ.გ“, „ლ“, „ნ“ და „ო“ – „ჟ“ ქვეპუნქტებით, აგრეთვე, მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის მიმწოდებლისათვის გადაცემაზე პასუხისმგებელია სისტემის ოპერატორი.

3. სისტემის ოპერატორი ვალდებულია, უზრუნველყოს მრიცხველის წაკითხვა პირველი დარიცხვის პერიოდის პირველ დღეს (მიწოდების დაწყების დღეს) და საბოლოო დარიცხვის პერიოდის ბოლო დღეს, თუ ამ წესებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

4. მომხმარებელთა ცნობიერების ამაღლებისა და ელექტროენერგიის მოხმარების კონტროლის მიზნით, გამანაწილებელი სისტემის ოპერატორი უზრუნველყოფს თითოეული კატეგორიის მომხმარებლის მიერ შესაბამის დასახლებაში გასული საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მოხმარებული ელექტროენერგიის საშუალო მოცულობის შესახებ ინფორმაციის მომზადებასა და დამატებითი საფასურის გარეშე მიმწოდებლისთვის ყოველთვიურად გადაცემას. ამ პუნქტის მიზნებისთვის, დასახლება გულისხმობს სოფელს, დაბას ან ქალაქს, ხოლო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის შემთხვევაში – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონს. სისტემის ოპერატორი უფლებამოსილია, ქ. თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში ამ პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია მოამზადოს ერთი და იმავე კატეგორიის იმ მომხმარებლების საშუალო მოხმარების მიხედვით, რომელთაც ელექტროენერგია მიეწოდებათ ერთი და იმავე ფიდერის მეშვეობით.

მუხლი 16. ქვითრის მომზადება და მიწოდება

1. ქვითრის მომზადებასა და მომხმარებლისთვის მის მიწოდებას უზრუნველყოფს მიმწოდებელი, ამ წესების მე-15 მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების შესაბამისად მიღებული ინფორმაციის გათვალისწინებით. მიმწოდებელი უფლებამოსილია, ამ პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულება შეასრულოს მესამე პირთან, მათ შორის, გამანაწილებელი სისტემის ოპერატორთან შესაბამისი ხელშეკრულების დადების საფუძველზე.

1[1]. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი არ წარმოადგენს კომისიის მიერ განსაზღვრულ ადმინისტრირების ერთიანი სისტემის ადმინისტრატორს (შემდგომში – ადმინისტრატორი), იგი ვალდებულია, უზრუნველყოს ადმინისტრატორთან შესაბამისი მომსახურების თაობაზე ხელშეკრულების დადება კომისიის სამართლებრივი აქტით დადგენილი წესით.

2. მომხმარებელი უფლებამოსილია, მიწოდების ხელშეკრულების დადების დროს მოითხოვოს ქვითრის მიღება მატერიალური, ელექტრონული ან მოკლე ტექსტური შეტყობინების სახით; აგრეთვე, მიწოდების ხელშეკრულების დადების ან, კომისიის მიერ დამტკიცებული სამართლებრივი აქტის შესაბამისად, უნივერსალური მიწოდების ან საჯარო მომსახურების სახით ელექტროენერგიის მიწოდების ხელშეკრულებაზე ავტომატურად მიერთების შემდგომ, ნებისმიერ დროს, მოითხოვოს ქვითრის მიღება ამ მუხლით გათვალისწინებული ნებისმიერი სახითა და საშუალებით.

3. მიმწოდებელი ვალდებულია, აღრიცხვის ერთი კვანძისთვის მოამზადოს ერთი ქვითარი. მომხმარებლის მოთხოვნის შემთხვევაში, დასაშვებია ერთზე მეტი აღრიცხვის კვანძისთვის ერთი ქვითრის მომზადება.

4. მატერიალური ფორმით მომზადებული ქვითრის მიწოდება ხორციელდება მომხმარებლის მიერ მიწოდების ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე ან მიწოდების მისამართზე, მომხმარებლის მოთხოვნის შესაბამისად. ელექტრონული ქვითრის მიწოდება ხორციელდება მომხმარებლის მიერ მითითებულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე, ხოლო მოკლე ტექსტური შეტყობინების სახით ქვითრის მიწოდება – მომხმარებლის მიერ მითითებულ ტელეფონის ნომერზე.

5. თუ მომხმარებლის მიერ ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად არ იქნა მოთხოვნილი ქვითრის მიწოდება და მიმწოდებლისათვის ცნობილია მომხმარებლის ტელეფონის ნომერი, მიმწოდებელი უზრუნველყოფს ქვითრის მიწოდებას მოკლე ტექსტური შეტყობინების მეშვეობით. თუ მიმწოდებლისათვის ცნობილი არ არის მომხმარებლის ტელეფონის ნომერი, მომხმარებელს ქვითარი უნდა მიეწოდოს მატერიალური ფორმით, მიწოდების მისამართზე.

6. მიმწოდებელი უფლებამოსილია, კომისიის სამართლებრივი აქტით დადგენილი წესით უნივერსალური მიწოდების ან საჯარო მომსახურების სახით ელექტროენერგიის მიწოდების ხელშეკრულებაზე ავტომატურად მიერთებულ მომხმარებლებს ქვითარი გაუგზავნოს მოკლე ტექსტური შეტყობინების მეშვეობით, მითითებულ ტელეფონის ნომრებზე, ხოლო თუ ტელეფონის ნომერი არ არის ცნობილი – მატერიალური ფორმით, მიწოდების მისამართზე.

7. მიწოდების ხელშეკრულების შეწყვეტის ან მისი მოქმედების ვადის გასვლის შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია, მომხმარებელთან საბოლოო ანგარიშსწორების მიზნით, საბოლოო დარიცხვის პერიოდისთვის მომზადებული ქვითრის მიწოდება უზრუნველყოს მიწოდების ხელშეკრულების შეწყვეტიდან ან მისი მოქმედების ვადის გასვლიდან არაუგვიანეს 6 კვირის განმავლობაში.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2021 წლის 28 ივნისის დადგენილება №25 - ვებგვერდი, 30.06.2021 წ.

მუხლი 17. ქვითრის ფორმა და შინაარსი

1. ქვითრის ფორმა მტკიცდება კომისიის გადაწყვეტილებით.

2. ქვითარი უნდა შეიცავდეს, სულ მცირე, შემდეგ ინფორმაციას:

ა) მომხმარებლის საიდენტიფიკაციო მონაცემებს;

ბ) აბონენტის ნომერს;

ბ[1]) (ამოღებულია - 31.12.2021, №79);

გ) ქვითრის ნომერს;

დ) დარიცხვის პერიოდის საწყისი დღის თარიღს;

ე) დარიცხვის პერიოდის ბოლო დღის თარიღს;

ვ) მომსახურების საფასურს, რომელშიც განცალკევებულად უნდა აღინიშნოს:

ვ.ა) მიწოდების ფასი/კომისიის მიერ დადგენილი ტარიფი;

ვ.ბ) სისტემის ოპერატორის მიერ გაწეული მომსახურების ხარჯები, მათ შორის, ქსელთან მიერთების საფასური ან/და მიწოდების აღდგენის საფასური, კომისიის მიერ დამტკიცებული ელექტროენერგიის გამანაწილებელი ქსელის წესებით განსაზღვრულ შემთხვევებში;

ვ.გ) აღრიცხვის კვანძის მონტაჟისა და მისი შემოწმების ხარჯები, კომისიის მიერ დამტკიცებული ელექტროენერგიის გამანაწილებელი ქსელის წესებით განსაზღვრულ შემთხვევებში;

ვ.დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადები;

ვ.ე) სოციალური შეღავათი ან სუბსიდია, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

ვ.ვ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა გადასახდელები, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

ზ) ამ პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების საფასურის კომპონენტების მოკლე აღწერას;

თ) მომსახურების საფასურის გადახდის ვადას;

ი) ქვითარში ასახული თანხის მითითებულ ვადაში გადაუხდელობის შედეგებს;

კ) ქვითრის მომზადების თარიღს;

ლ) მრიცხველის ჩვენებას ბოლო ორი დარიცხვის პერიოდისთვის;

მ) ამ წესების მე-18 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გადახდის საშუალებების შესახებ ინფორმაციას;

ნ) მითითებას ბმულზე, სადაც ხელმისაწვდომია ამ წესების მე-12 მუხლის მე-8 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მონაცემები;

ნ[1]) ამ წესების მე-12 მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებულ ინფორმაციას განახლებადი ენერგიის წყაროებიდან წარმოებული და მიწოდებული ელექტროენერგიის წილის ან რაოდენობის შესახებ;

ო) მიწოდებული ელექტროენერგიის მოცულობას (კილოვატსაათი);

პ) წინა წლის იმავე პერიოდში მოხმარებული ელექტროენერგიის მოცულობას;

ჟ) ელექტროენერგიის მოხმარების ისტორიულ მონაცემებს ბოლო 12 თვის განმავლობაში, დიაგრამის სახით;

რ) ამ წესების მე-15 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ ინფორმაციას, შესაბამისი კატეგორიის მომხმარებელთან დაკავშირებით;

ს) მითითებას წყაროზე, სადაც „ენერგოეფექტურობის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, გამოქვეყნებულია ენერგოეფექტურობის გასაუმჯობესებელ ღონისძიებებთან დაკავშირებული ექსპერტების რეესტრი;

ტ) ქოლცენტრის ნომერს, მიმწოდებლის ვებგვერდის მისამართსა და სხვა საკონტაქტო ინფორმაციას;

უ) ინფორმაციას პრეტენზიის ან/და დავის წარმოშობის შემთხვევაში მიმწოდებლისთვის ან/და კომისიისათვის მიმართვის უფლების თაობაზე, შესაბამისი საკონტაქტო ინფორმაციის მითითებით;

ფ) ინფორმაციას კომისიასთან არსებული მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველისა და მისთვის მიმართვის უფლების თაობაზე.

3. შესაბამის შემთხვევებში ქვითარში აგრეთვე უნდა მიეთითოს:

ა) ამ წესების 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად გაანგარიშებული დადებითი ბალანსი;

ბ) კომისიის მიერ დამტკიცებული მომსახურების ხარისხის წესებისა და კომისიის მიერ დამტკიცებული ელექტროენერგიის გამანაწილებელი ქსელის წესების შესაბამისად მიმწოდებლის ან სისტემის ოპერატორის მიერ მომხმარებელზე დარიცხული მომსახურების ხარისხის კომპენსაცია;

გ) მიმწოდებლის მოთხოვნა დეპოზიტის წარდგენის შესახებ ან/და მომხმარებლის მიერ მიმწოდებლისთვის წარდგენილი დეპოზიტის ოდენობა;

დ) მიწოდების ხელშეკრულების შესაბამისად დარიცხული პირგასამტეხლოს ოდენობა;

ე) მომხმარებლის მიერ წინსწრებით გადახდილი და ამ წესების მე-18 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად მიმწოდებლის მიერ მომხმარებლის ანგარიშზე დადებითი ბალანსის სახით ასახული თანხა;

ვ) ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესატყვისი თანხა.

4. მოკლე ტექსტური შეტყობინების სახით მიწოდებულ ქვითარში უნდა მიეთითოს, სულ მცირე, ამ მუხლის მეორე პუნქტის „ა“-„ვ“, „თ“ და „ო“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაცია და ქოლცენტრის ნომერი. მოკლე ტექსტური შეტყობინება უნდა შეიცავდეს ბმულს, რომელზეც ხელმისაწვდომი უნდა იყოს ამ მუხლის მე-2 და, შესაბამის შემთხვევებში, მე-3 პუნქტით გათვალისწინებული სრული ინფორმაცია ქვითრის მომზადებიდან არანაკლებ 3 წლის განმავლობაში.

5. იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელს მიმწოდებლის წინაშე გააჩნია შეუსრულებელი ვალდებულება, რომლის წარმოშობიდან მიმდინარე დარიცხვის პერიოდამდე გასულია სამ წელზე მეტი და რომელიც მომხმარებელს წერილობითი ფორმით არ უღიარებია ან/და არ არსებობს მხარეთა შორის შეთანხმება ამ ვალდებულების ეტაპობრივი შესრულების თაობაზე, მიმწოდებელი ვალდებულია, ამ ვალდებულების შესატყვისი თანხა ქვითარში მიუთითოს განცალკევებულად. დაუშვებელია, მომხმარებლის მიერ გადახდილი, მათ შორის, წინასწარ გადახდილი მომსახურების საფასური, მომხმარებლის პირდაპირი მითითების გარეშე, მიმართულ იქნეს ამ პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესასრულებლად.

6. მომხმარებლის სხვა მიწოდების მისამართზე გადასვლის ან/და მიწოდების

ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია, საბოლოო ანგარიშსწორების შედეგად წარმოქმნილი მომსახურების საფასურის გადახდა მოსთხოვოს მომხმარებელს ან წესების მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის "გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ გადახდაზე პასუხისმგებელ პირს ან ასახოს სხვა მიწოდების მისამართზე მომზადებულ ქვითარში, სადაც უწევს მომსახურებას ამავე მომხმარებელს. ამ პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების საფასური სხვა მიწოდების მისამართზე მომზადებულ ქვითარში უნდა აისახოს განცალკევებულად.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2021 წლის 28 ივნისის დადგენილება №25 - ვებგვერდი, 30.06.2021 წ.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2021 წლის 31 დეკემბრის დადგენილება №79 - ვებგვერდი, 31.12.2021 წ.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2022 წლის 28 აპრილის დადგენილება №19 - ვებგვერდი, 29.04.2022 წ.

მუხლი 18. მომსახურების საფასურის გადახდა

1. მიმწოდებელი ვალდებულია, მომხმარებელს შესთავაზოს მომსახურების საფასურის გადახდის სხვადასხვა საშუალება, მათ შორის, კომერციული ბანკის, სწრაფი გადახდის აპარატის მეშვეობით ან სხვა საშუალებით, რომელთაგან, სულ მცირე, ერთი მაინც უნდა იძლეოდეს საკომისიოს გარეშე გადახდის შესაძლებლობას.

2. მომსახურების საფასურის გადახდის ვადა არ უნდა იყოს ქვითრის მომზადებიდან 15 კალენდარულ დღეზე ნაკლები. თავისუფალი მიმწოდებელი და არასაყოფაცხოვრებო მომხმარებელი, გარდა მცირე საწარმოსი, უფლებამოსილი არიან, მიწოდების ხელშეკრულებით შეთანხმდნენ მომსახურების საფასურის გადახდის სხვა ვადაზე. ამ შემთხვევაში, მომსახურების საფასურის გადახდის ვადა არ უნდა იყოს ქვითრის მომზადებიდან 5 კალენდარულ დღეზე ნაკლები.

3. (ამოღებულია - 25.11.2021 №52).

4. მომხმარებელი ვალდებულია, ამ წესებით დადგენილ ვადაში გადაიხადოს მომსახურების საფასური, მიუხედავად იმისა, მიიღო თუ არა მან ქვითარი.

5. მიმწოდებელი უფლებამოსილია, ქვითარში მითითებული გადახდის ბოლო ვადის დადგომამდე მიიღოს დამატებითი გონივრული ზომები მომხმარებლის გასაფრთხილებლად.

6. იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელი არ გადაიხდის მომსახურების საფასურს ქვითარში მითითებული ვადის დაცვით, მიმწოდებელი ვალდებულია, გადახდის ბოლო ვადის მომდევნო დღეს გააფრთხილოს მომხმარებელი მოკლე ტექსტური შეტყობინების მეშვეობით და განუსაზღვროს მას მომსახურების საფასურის გადახდის დამატებითი ვადა, რომელიც არ უნდა იყოს გადახდის ბოლო ვადიდან 1 კალენდარულ დღეზე ნაკლები. ამ პუნქტით გათვალისწინებული მოკლე ტექსტური შეტყობინების გაგზავნა დაუშვებელია, თუ მომსახურების საფასურის ოდენობას აკლია 2 ლარი ან ნაკლები.

7. (ამოღებულია - 25.11.2021 №52).

8. საყოფაცხოვრებო მომხმარებლის მიერ ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული ვადის დაცვით მომსახურების საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში, თუ მიმწოდებლისთვის ცნობილია, რომ მიწოდების შეწყვეტამ შეიძლება გამოიწვიოს ადამიანის ჯანმრთელობის გაუარესება ან/და საფრთხე შეუქმნას მის სიცოცხლეს, მიმწოდებელი ვალდებულია,მომხმარებელს განუსაზღვროს მომსახურების საფასურის გადახდის დამატებითი, გონივრული ვადა.

9. იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელი სრულად არ გადაიხდის მომსახურების საფასურს ამ მუხლის შესაბამისად განსაზღვრულ ვადაში ან მიმწოდებელი და მომხმარებელი არ შეთანხმდებიან ამ მუხლის მე-13 პუნქტის შესაბამისად ვალდებულების ეტაპობრივ შესრულებაზე, მიმწოდებელი

უფლებამოსილია, შესაბამის სისტემის ოპერატორს მოსთხოვოს ამ მომხმარებლისთვის მიწოდების შეწყვეტა. ამ პუნქტის მიზნებისთვის, გადახდა ჩაითვლება სრულად, თუ მომსახურების საფასურის ოდენობას აკლია 2 ლარი ან ნაკლები.

10. მიმწოდებელი უფლებამოსილია, მომხმარებლის მიერ გადაუხდელი მომსახურების საფასური აინაზღაუროს ამ წესების 24-ე მუხლით გათვალისწინებული დეპოზიტის მეშვეობით.

11. მომხმარებელს უფლება აქვს, წინსწრებით გადაიხადოს მომსახურების საფასური. მომხმარებლის მიერ გადახდილი თანხა, რომელიც აღემატება ქვითარში მითითებულ მომსახურების საფასურს, აისახება მომხმარებლის ანგარიშზე, დადებითი ბალანსის სახით და მიმწოდებლის მიერ გათვალისწინებული იქნება მომდევნო დარიცხვის პერიოდის/პერიოდებისთვის მომსახურების საფასურის ასანაზღაურებლად. მომხმარებელი უფლებამოსილია, მოითხოვოს ანგარიშზე დადებითი ბალანსის სახით ასახული თანხის დაბრუნება მიმწოდებლის მიერ საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვის გზით.

12. ელექტროენერგიის, წყალმომარაგებისა და დასუფთავების მომსახურებები და შესაბამისი საფასურის/მოსაკრებლის გადახდევინება ეფუძნება ადმინისტრირების ერთიან ინტეგრირებულ და კოორდინირებულ სისტემას, კომისიის გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

13. მომხმარებლის მიერ ქვითარში მითითებულ ვადაში მომსახურების საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში, მომხმარებლის მოთხოვნით ან/და საკუთარი ინიციატივით, მიმწოდებელი უფლებამოსილია, მომხმარებელს შესთავაზოს მომსახურების საფასურის გადახდის ეტაპობრივი გეგმა. იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელი დაეთანხმება გადახდის ეტაპობრივ გეგმას, იგი ვალდებულია, შეასრულოს მისგან გამომდინარე ვალდებულებები.

14. ამ მუხლის მე-13 პუნქტით გათვალისწინებული ეტაპობრივი გეგმა, სულ მცირე, უნდა შეიცავდეს:

ა) გადასახდელ თანხას;

ბ) გადახდის პერიოდულობას;

გ) შენატანის რაოდენობას თითოეული პერიოდისთვის;

დ) დათქმას მომსახურების საფასურის ვადაზე ადრე დაფარვის შემთხვევაში პირგასამტეხლოს მოთხოვნის დაუშვებლობის თაობაზე.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2021 წლის 25 ნოემბრის დადგენილება №52 - ვებგვერდი, 30.11.2021 წ.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2022 წლის 1 სექტემბრის დადგენილება №47 - ვებგვერდი, 06.09.2022 წ.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2022 წლის 22 დეკემბრის დადგენილება №73 - ვებგვერდი, 28.12.2022 წ.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2023 წლის 21 აპრილის დადგენილება №22 - ვებგვერდი, 27.04.2023 წ.

მუხლი 19. ქვითრის შესწორება

1. მიმწოდებელი ვალდებულია, საკუთარი ინიციატივით ან/და მომხმარებლის მოთხოვნით, შეიტანოს შესწორება ქვითარში, თუ მასში არასწორად არის მითითებული ამ წესების მე-17 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაცია.

2. ქვითრის შესწორება უნდა მოხდეს მიმწოდებლის მიერ შეცდომის აღმოჩენიდან ან/და მომხმარებლის მოთხოვნიდან 10 დღის ვადაში.

3. მომხმარებელი უფლებამოსილია, მოითხოვოს ქვითარში მომსახურების საფასურის არასწორად მითითების გამო ზედმეტად გადახდილი თანხის ასახვა თავის ანგარიშზე, დადებითი ბალანსის სახით, ან მისი დაბრუნება საბანკო ანგარიშზე. მიმწოდებელი ვალდებულია, ზედმეტად გადახდილი თანხა ასახოს შესწორებულ ქვითარში ან უზრუნველყოს თანხის დაბრუნება მომხმარებლის მოთხოვნიდან ათი დღის ვადაში.

4. თუ ქვითრის შესწორების შედეგად მომხმარებლის მიერ გადასახდელი მომსახურების საფასურის ოდენობა გაიზარდა, შესწორებულ საფასურსა და გადახდილ მომსახურების საფასურს შორის სხვაობის გადახდის ვადა აითვლება შესწორებული ქვითრის მომზადების დღიდან, ამ წესების მე-18 მუხლის მე-2 და მე-6-მე-8 პუნქტების შესაბამისად.

5. შესწორებულ ქვითარზე ვრცელდება ამ წესების მე-17 მუხლის მოთხოვნები.

მუხლი 20. მსხვილი მომხმარებელი

1. მსხვილი მომხმარებლის სამართლებრივი სტატუსი და კრიტერიუმები განისაზღვრება კომისიის სამართლებრივი აქტით.

2. მსხვილი მომხმარებელი უფლებამოსილია:

ა) მიწოდების ხელშეკრულება დადოს ერთზე მეტ მიმწოდებელთან, მათ შორის, ერთი საკადასტრო კოდის მქონე უძრავი ქონების/ობიექტისათვის მიწოდების უზრუნველყოფის მიზნით;

ბ) ელექტრონერგია შეისყიდოს როგორც საცალო, ისე ორგანიზებულ ბაზრებზე, კომისიის სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით.

3. თუ მსხვილი მომხმარებელი მიწოდების ხელშეკრულებას დებს ერთზე მეტ მიმწოდებელთან ერთი და იმავე მიწოდების წერტილის მეშვეობით მიწოდების უზრუნველყოფის მიზნით, ამ მიწოდების წერტილში აღრიცხული ელექტროენერგიის განაწილების წესი განისაზღვრება მსხვილ მომხმარებელსა და შესაბამის მიმწოდებლებს შორის შეთანხმებით.

4. მსხვილი მომხმარებელი უფლებამოსილია, თავისუფალ მიმწოდებელთან დადოს მიწოდების წყვეტადი ხელშეკრულება. ასეთ შემთხვევაში, ხელშეკრულებით განისაზღვრება დღეების რაოდენობა ან/და დროის შუალედი, რომლის განმავლობაშიც თავისუფალი მიმწოდებელი უფლებამოსილია, არ მიაწოდოს ელექტროენერგია მსხვილ მომხმარებელს ან/და შეუზღუდოს მას მისაწოდებელი სიმძლავრე.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2022 წლის 1 სექტემბრის დადგენილება №47 - ვებგვერდი, 06.09.2022 წ.

მუხლი 21. მომხმარებლის მიერ მიწოდების ხელშეკრულების შეწყვეტის უფლება

1. საყოფაცხოვრებო მომხმარებელი უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს, ცალმხრივად შეწყვიტოს მიწოდების ხელშეკრულება, რის თაობაზეც აცნობებს მიმწოდებელს, ან შეიცვალოს მიმწოდებელი ამ წესების V თავით დადგენილი წესით.

2. არასაყოფაცხოვრებო მომხმარებელი უფლებამოსილია, მიწოდების ხელშეკრულება ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევაში, აგრეთვე, მიმწოდებლის შეცვლის მიზნით, ამ წესების V თავის შესაბამისად.

მუხლი 22. მომხმარებლისათვის მიწოდების შეწყვეტა და აღდგენა

1. მიმწოდებელს უფლება აქვს, უარი თქვას მომხმარებლისთვის მომსახურების გაწევაზე ან შესაბამის სისტემის ოპერატორს მოსთხოვოს მომხმარებლისთვის მიწოდების შეწყვეტა:

ა) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ფორსმაჟორულ ან უსაფრთხოების დაცვასთან დაკავშირებულ შემთხვევებში;

ბ) თუ მომხმარებელი, მიმწოდებლის გაფრთხილების მიუხედავად, არ ასრულებს მიწოდების ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვალდებულებებს, მათ შორის, მომსახურების საფასურის გადახდასთან დაკავშირებით, გარდა ამ წესების მე-17 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებისა;

გ) ამ წესების მე-20 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, მიწოდების წყვეტადი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პერიოდულობით და წესით;

დ) მიწოდების ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის ან მისი ვადამდე შეწყვეტის გამო, მათ შორის, ამ წესების მე-8 მუხლის 6^1 პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით.

2. თუ მიწოდება ხორციელდება ერთი საკადასტრო კოდის მქონე უძრავ ქონებაზე, გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის მფლობელობაში არსებული ერთზე მეტი აღრიცხვის კვანძის მეშვეობით, ამ წესების მე-7 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად დადებული მიწოდების ხელშეკრულება შეიძლება ითვალისწინებდეს მიმწოდებლის უფლებას, მომხმარებლის მიერ ერთი აღრიცხვის კვანძის ჩვენების საფუძველზე დარიცხული მომსახურების საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში, შეუწყვიტოს მომხმარებელს მიწოდება სხვა აღრიცხვის კვანძზე/კვანძებზე.

3. მომხმარებლისთვის მიწოდების შეწყვეტის თაობაზე მიმწოდებლის მიერ სისტემის ოპერატორისთვის წარდგენილი მოთხოვნა უნდა შეიცავდეს მიწოდების შეწყვეტის ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შესაბამის საფუძველზე მითითებას, აგრეთვე, მომხმარებლისთვის ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტის დაუშვებლობის შესახებ დათქმას:

ა) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ უქმე დღეებში, დასვენების დღეებში – შაბათსა და კვირას – თვითმმართველ ქალაქებში არსებული მომხმარებლის შემთხვევაში;

ბ) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ უქმე დღეებში, დასვენების დღეებში – შაბათსა და კვირას, აგრეთვე, უქმე დღისა და შაბათ-კვირის წინა დღეს – სხვა მუნიციპალიტეტებში არსებული მომხმარებლის შემთხვევაში;

გ) კალენდარული თვის 16 რიცხვამდე – იმ მომხმარებლისთვის, რომელიც, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, წარმოადგენს პენსიონერს;

დ) კალენდარული თვის 22 რიცხვამდე – ამ წესების 25-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მომხმარებლებისთვის;

ე) 18:00 საათიდან 09:00 საათამდე პერიოდში.

4. დაუშვებელია მიწოდების შეწყვეტა შემდეგ შემთხვევებში:

ა) მომსახურების საფასურის არასრულად გადახდისას, თუ მომსახურების საფასურის სრულ ოდენობას აკლია 2 ლარი ან ნაკლები;

ბ) თუ მომხმარებელს დარიცხული მომსახურების საფასურის თაობაზე მიმწოდებლისთვის წარდგენილი აქვს პრეტენზია და საპრეტენზიო კომისიის მიერ მიღებული არ არის შესაბამისი გადაწყვეტილება, გარდა მიმდინარე პერიოდზე დარიცხული მომსახურების საფასურის გადაუხდელობის შემთხვევისა;

გ) თუ მიმწოდებელს აქვს შესაძლებლობა, აინაზღაუროს მომსახურების საფასური მომხმარებლის მიერ ამ წესების 24-ე მუხლის შესაბამისად წარდგენილი დეპოზიტის მეშვეობით, გარდა იმ შემთხვევებისა,

როდესაც დეპოზიტი წარდგენილია არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლის მიერ ან ამ წესების 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლებით;

დ) ერთ მიწოდების მისამართზე დარიცხული მომსახურების საფასურის გადაუხდელობის გამო – მეორე მიწოდების მისამართზე;

ე) ერთი საკადასტრო კოდის მქონე უძრავ ქონებაზე ერთზე მეტი აღრიცხვის კვანძის არსებობის შემთხვევაში – ერთ აღრიცხვის კვანძზე დარიცხული მომსახურების საფასურის გადაუხდელობის გამო – სხვა აღრიცხვის კვანძზე, გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა;

ვ) კომისიის მიერ დამტკიცებული დავების განხილვის წესით გათვალისწინებულ შემთხვევებში;

ზ) მიწოდების ხელშეკრულებით განსაზღვრულ სხვა შემთხვევებში.

5. მიმწოდებელი ვალდებულია, უზრუნველყოს სისტემის ოპერატორის მიერ მომხმარებლისთვის მიწოდების აღდგენა ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევების აღმოფხვრიდან ან მომხმარებელთან ამ წესების მე-18 მუხლის მე-13 პუნქტით გათვალისწინებული შეთანხმების დადებიდან არაუგვიანეს 5 საათისა, თუ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევის აღმოფხვრა ან მომხმარებელთან ამ წესების მე-18 მუხლის მე-13 პუნქტით გათვალისწინებული შეთანხმების დადება განხორციელდა:

ა) 09:00-დან – 16:00 საათამდე პერიოდში, ხოლო შაბათ-კვირას – 09:00-დან – 14:00 საათამდე პერიოდში;

ბ) „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ მაღალმთიან დასახლებაში – 14:00 საათამდე.

6. მიწოდება უნდა აღდგეს მომდევნო კალენდარული დღის 12:00 საათამდე, თუ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევების აღმოფხვრა ან მომხმარებელთან ამ წესების მე-18 მუხლის მე-13 პუნქტით გათვალისწინებული შეთანხმების დადება განხორციელდა:

ა) 16:00 საათის შემდეგ, ხოლო შაბათ-კვირას – 14:00 საათის შემდეგ;

ბ) „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ მაღალმთიან დასახლებაში – 14:00 საათის შემდეგ.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2021 წლის 25 ნოემბრის დადგენილება №52 - ვებგვერდი, 30.11.2021 წ.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2021 წლის 31 დეკემბრის დადგენილება №79 - ვებგვერდი, 31.12.2021 წ.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2022 წლის 24 თებერვლის დადგენილება №3 - ვებგვერდი, 25.02.2022 წ.

მუხლი 23. პირგასამტეხლო

1. მიწოდების ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის მიწოდების ხელშეკრულებით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს პირგასამტეხლო.

2. დაუშვებელია პირგასამტეხლოს დაკისრება:

ა) საყოფაცხოვრებო მომხმარებლისთვის;

ბ) უნივერსალური მომსახურების მიმწოდებლის, საჯარო მომსახურების სახით ელექტროენერგიის მიმწოდებლის ან ბოლო ალტერნატივის მიმწოდებლის მომხმარებლისთვის.

3. პირგასამტეხლოს ოდენობა უნდა განისაზღვროს მისაღწევი მიზნის პროპორციულად. მიწოდების ხელშეკრულებით განსაზღვრული დათქმები პირგასამტეხლოს შესახებ მომხმარებელს არ უნდა აკისრებდეს მიმწოდებლის მიერ მომხმარებლის წინაშე ნაკისრ ვალდებულებაზე უფრო მძიმე ვალდებულებას.

4. ამ წესებით დადგენილი მოთხოვნების დაცვით, მიმწოდებელი უფლებამოსილია, მიწოდების ხელშეკრულების ვადამდე ცალმხრივად შეწყვეტისათვის არასაყოფაცხოვრებო მომხმარებელს დააკისროს პირგასამტეხლო, თუ ეს პირდაპირ არის გათვალისწინებული მიმწოდებელსა და მომხმარებელს შორის დადებული მიწოდების ხელშეკრულებით.

5. მიმწოდებლის მიერ მცირე საწარმოსთვის ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს მოთხოვნა დაუშვებელია, თუ მიწოდების ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე შეტყობინება მცირე საწარმოს მიერ წარდგენილ იქნა მიწოდების ხელშეკრულების შეწყვეტამდე არანაკლებ ერთი თვით ადრე.

6. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში, მომხმარებელს პირგასამტეხლოს გადახდის მოთხოვნა უნდა წარედგინოს შესაბამისი ვალდებულების შეუსრულებლობის ფაქტის დადგომის მომდევნო საანგარიშო პერიოდში. მიმწოდებლის მიერ პირგასამტეხლოს მოთხოვნის უფლების გამოუყენებლობა ჩაითვლება ამ უფლებაზე უარად.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2022 წლის 24 თებერვლის დადგენილება №3 - ვებგვერდი, 25.02.2022 წ.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2022 წლის 22 დეკემბრის დადგენილება №73 - ვებგვერდი, 28.12.2022 წ.

მუხლი 24. დეპოზიტი

1. მიმწოდებელს უფლება აქვს, მოსთხოვოს მომხმარებელს დეპოზიტის წარდგენა შემდეგ შემთხვევებში:

ა) მომხმარებელი დროებით სარგებლობს უძრავი ქონებით ან მისი ნაწილით;

ბ) მომხმარებელმა 12-თვიანი უწყვეტი პერიოდის განმავლობაში სამჯერ ან მეტჯერ ვადაგადაცილებით გადაიხადა მომსახურების საფასური;

გ) მომსახურების საფასურის გადაუხდელობისათვის მომხმარებელს ელექტროენერგია არ მიეწოდებოდა 5-თვიანი ან მეტი უწყვეტი პერიოდის განმავლობაში;

დ) არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლის მიერ ელექტროენერგიის მოხმარების საშუალო თვიური ღირებულება აღემატება 50 000 ლარს, ამასთან:

დ.ა) მომხმარებელს არ გააჩნია ქონება, რომელიც, დავის წარმოშობის შემთხვევაში, შესაძლებელია, დაექვემდებაროს იძულებით აღსრულებას მიმწოდებლის მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით; ან

დ.ბ) მომხმარებლის საკუთრებაში არსებული ქონება უფლებრივად დატვირთულია, რაც, დავის წარმოშობის შემთხვევაში, ქმნის მიმწოდებლის მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის ვარაუდის საფუძველს.

2. მიმწოდებელი ვალდებულია, დეპოზიტის დასაბუთებული მოთხოვნა ასახოს ქვითარში, შესაბამისი საფუძვლის მითითებით. ამასთან, მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) მომხმარებლის მიერ 12-თვიანი უწყვეტი პერიოდის განმავლობაში მომსახურების საფასურის გადახდის ვადის ორჯერ დარღვევის შემთხვევაში, მომხმარებელს აცნობოს მომსახურების საფასურის გადახდის ვადის მესამედ დარღვევისას ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად დეპოზიტის მოთხოვნის უფლების შესაძლო გამოყენების შესახებ;

ბ) მომსახურების საფასურის გადაუხდელობის საფუძვლით მიწოდების შეწყვეტის შემთხვევაში, მიმწოდებელმა, მიწოდების შეწყვეტიდან 3 თვის შემდეგ, მომხმარებელს უნდა აცნობოს მომსახურების საფასურის 5 ან მეტი თვის განმავლობაში გადაუხდელობის შემთხვევაში, ამ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად დეპოზიტის მოთხოვნის უფლების შესაძლო გამოყენების შესახებ.

3. მომხმარებელი უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს შეცვალოს მიმწოდებლისთვის წარდგენილი დეპოზიტის სახით წარდგენილი თანხა საბანკო გარანტიით ან საბანკო გარანტიის სანაცვლოდ მიმწოდებელს წარუდგინოს თანხა.

4. საყოფაცხოვრებო მომხმარებლისაგან დეპოზიტის განმეორებით მოთხოვნა დაუშვებელია, თუ ამ მომხმარებლის მიერ წარდგენილი დეპოზიტი მიმწოდებლის მიერ არ იქნა მიმართული გადაუხდელი მომსახურების საფასურის ასანაზღაურებლად, ამ წესების მე-18 მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელმა მომხმარებლის მიერ გადაუხდელი მომსახურების საფასური აინაზღაურა წარდგენილი დეპოზიტის მეშვეობით, იგი უფლებამოსილია, მომხმარებელს ხელახლა მოსთხოვოს იმავე ოდენობის დეპოზიტი მომდევნო დარიცხვის პერიოდისთვის მომზადებულ ქვითარში ასახვის გზით. მიმწოდებელი უფლებამოსილია, გადაუხდელი მომსახურების საფასურის ასანაზღაურებლად არ გამოიყენოს არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლის მიერ, აგრეთვე, ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით მოთხოვნილი დეპოზიტი და მომხმარებლის მიერ მომსახურების საფასურის დროულად გადაუხდელობის შემთხვევაში, მოსთხოვოს სისტემის ოპერატორს მიწოდების შეწყვეტა ამ წესების 22-ე მუხლის შესაბამისად.

5. მიმწოდებელი ვალდებულია, საბანკო გარანტიის წარდგენის შემთხვევაში, საბანკო გარანტიის მოქმედების ვადის გასვლამდე 6 კვირით ადრე, აღნიშნულის შესახებ აცნობოს მომხმარებელს, ხოლო მომხმარებელი ვალდებულია, საბანკო გარანტიის მოქმედების ვადის გასვლამდე არანაკლებ ერთი თვით ადრე გააგრძელოს მისი მოქმედება, წარადგინოს ახალი საბანკო გარანტია ან შეიტანოს მოთხოვნილი თანხა მიმწოდებლის ანგარიშზე.

6. დეპოზიტის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს მომხმარებელზე ბოლო 12 თვის განმავლობაში დარიცხული მომსახურების საფასურის საშუალო თვიურ ოდენობას, რომელიც გამოითვლება 12 თვის განმავლობაში დარიცხული მომსახურების საფასურის გაყოფით თვეების იმ რაოდენობაზე, რომლის განმავლობაშიც ხორციელდებოდა მოხმარება. იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებლის მიერ მიწოდების მომსახურების მიღების დაწყებიდან დეპოზიტის მოთხოვნამდე გასული არ არის 12 თვე, დეპოზიტის ოდენობა იმავე წესით გამოითვლება მიწოდების დაწყებიდან მიმწოდებლის მიერ დეპოზიტის მოთხოვნამდე პერიოდისთვის.

7. მომხმარებლის მიერ უძრავი ქონების დროებით ფლობის შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია, მომხმარებელს დეპოზიტი მოსთხოვოს მიწოდების დაწყებამდე, საშუალო თვიური მოხმარების პროგნოზის მიხედვით, არსებული დანადგარების წარმადობისა და სეზონურობის გათვალისწინებით, ან მიწოდების დაწყებიდან პირველი დარიცხვის პერიოდის გასვლის შემდეგ, დარიცხული მომსახურების საფასურის ოდენობით. ამ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, მიწოდების დაწყებიდან 6 თვის შემდეგ, მიმწოდებელი უფლებამოსილია, გაიანგარიშოს დეპოზიტის ოდენობა ბოლო 6 თვის განმავლობაში დარიცხული მომსახურების საფასურის იმ თვეების რაოდენობაზე გაყოფით, რომლის განმავლობაშიც ხორციელდებოდა მოხმარება.

7^1. ამ მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში დეპოზიტის გაანგარიშებისთვის საჭირო ინფორმაციას მიმწოდებელს, მოთხოვნის შესაბამისად, მიაწვდის სისტემის ოპერატორი.

8. მიმწოდებელი ვალდებულია, დეპოზიტის წარდგენიდან ყოველი 12-თვიანი პერიოდის გასვლის შემდეგ, ხელახლა გაიანგარიშოს დეპოზიტის ოდენობა გასული 12 თვის განმავლობაში მომხმარებელზე დარიცხული მომსახურების საფასურის გაყოფით თვეების იმ რაოდენობაზე, რომლის განმავლობაშიც ხორციელდებოდა ელექტროენერგიის მოხმარება.

9. იმ შემთხვევაში, თუ ამ მუხლის მე-7 და მე-8 პუნქტებით გათვალისწინებული წესით გაანგარიშების შედეგად, მომხმარებელზე დარიცხული მომსახურების საფასურის საშუალო თვიური ოდენობა

შემცირებულია, მიმწოდებელი ვალდებულია, შესაბამისად შეამციროს მოთხოვნილი დეპოზიტის ოდენობა და სხვაობა თავდაპირველად მოთხოვნილსა და შემცირებულ ოდენობას შორის, მომხმარებლის მოთხოვნის შესაბამისად, ასახოს მის ანგარიშზე დადებითი ბალანსის სახით ან უზრუნველყოს შესაბამისი თანხის მომხმარებლის საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვა; თუ დარიცხული მომსახურების საფასურის საშუალო ოდენობა გაზრდილია – მიმწოდებელი უფლებამოსილია, ამ წესებით დადგენილი წესით, მომხმარებელს მოსთხოვოს გაზრდილი დეპოზიტის წარდგენა.

10. მიმწოდებელი ვალდებულია, ამ მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, დეპოზიტის წარდგენიდან ყოველი 12-თვიანი პერიოდის გასვლის შემდეგ, განმეორებით შეაფასოს დეპოზიტის მოთხოვნის მიზანშეწონილობა და, ასეთის არარსებობის შემთხვევაში, მომხმარებელს დაუბრუნოს წარდგენილი დეპოზიტი მის საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვის გზით ან, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, უარი თქვას მომხმარებლის მიერ წარდგენილი საბანკო გარანტიიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლებაზე.

11. დეპოზიტი 10 დღის ვადაში უნდა დაუბრუნდეს მომხმარებელს ან მიმწოდებელმა უარი უნდა თქვას საბანკო გარანტიიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლებაზე, თუ:

ა) მიწოდების ხელშეკრულება ვადამდე შეწყდა ან მისი მოქმედების ვადა ამოიწურა და საბოლოო ანგარიშსწორებისას მომხმარებელმა მომსახურების საფასური სრულად დაფარა;

ბ) მომხმარებელი ბოლო 12 თვის განმავლობაში მომსახურების საფასურს იხდიდა ამ წესებით დადგენილ ვადაში – თუ დეპოზიტი მოთხოვნილი იყო ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ან „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლით;

გ) აღარ არსებობს დეპოზიტის მოთხოვნის ამ მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ან „დ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული საფუძველი.

12. ამ მუხლის მე-11 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია, მომხმარებლის მიერ წარდგენილი დეპოზიტი ასახოს მომხმარებლის ანგარიშზე დადებითი ბალანსის სახით, ამ წესების მე-18 მუხლის მე-11 პუნქტით გათვალისწინებული წესით. თუ მომხმარებელი მოითხოვს დეპოზიტის დაბრუნებას საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვის გზით, მიმწოდებელი ვალდებულია, აღნიშნული უზრუნველყოს მომხმარებლის მოთხოვნიდან არაუგვიანეს 3 დღის ვადაში.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2021 წლის 31 დეკემბრის დადგენილება №79 - ვებგვერდი, 31.12.2021 წ.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2022 წლის 24 თებერვლის დადგენილება №3 - ვებგვერდი, 25.02.2022 წ.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2022 წლის 22 დეკემბრის დადგენილება №73 - ვებგვერდი, 28.12.2022 წ.

მუხლი 25. მომხმარებელთა დაცვის დამატებითი მექანიზმები

1. მიმწოდებელი ვალდებულია, აწარმოოს მონაცემთა ბაზა იმ მომხმარებლების შესახებ, რომლებთანაც მას დადებული აქვს მიწოდების ხელშეკრულება და რომლებიც:

ა) რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან მონაცემთა ბაზაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ბ) (ამოღებულია - 25.11.2021 №52);

გ) „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად იღებენ საარსებო შემწეობას, რეინტეგრაციის შემწეობას ან სოციალურ პაკეტს;

დ) სარგებლობენ მრავალშვილიანი მშობლის სტატუსით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად

და ჰყავთ ოთხი და მეტი 18 წლამდე ასაკის შვილი/ნაშვილები.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მომხმარებლები, აგრეთვე მომხმარებელი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, წარმოადგენს პენსიონერს, პასუხისმგებელი არიან მიმწოდებლისთვის ინფორმაციის წარდგენასა და, შესაბამის შემთხვევებში, უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გაცემული დოკუმენტის მატერიალური ან ელექტრონული ფორმით მიწოდებაზე.

3. მიმწოდებელი უფლებამოსილია, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მონაცემთა ბაზის განახლების მიზნით, მომხმარებელს ყოველწლიურად მოსთხოვოს ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციისა და, შესაბამის შემთხვევაში, დოკუმენტის წარდგენა.

4. მიმწოდებელი ვალდებულია, უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიერ ამ წესებიდან გამომდინარე უფლებების განხორციელების შესაძლებლობა, მათ შორის, მიიღოს გონივრული ზომები:

ა) ამ წესების მე-13 მუხლით გათვალისწინებული მომსახურების ცენტრის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების საჭიროებების გათვალისწინებით აღჭურვის უზრუნველსაყოფად;

ბ) შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მომხმარებლებისთვის ადაპტირებული ქვითრისა და სხვა საინფორმაციო მასალების (აუდიომასალა, ბრაილის შრიფტით დაბეჭდილი ინფორმაცია, სურდოთარგმანი, სუბტიტრი) მომზადების მიზნით.

5. დაუშვებელია იმ მომხმარებლისთვის, რომელიც, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, წარმოადგენს პენსიონერს, აგრეთვე, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მომხმარებლებისთვის ამ წესების 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“-„გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლებით დეპოზიტის წარდგენის ვალდებულების დაკისრება.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2021 წლის 25 ნოემბრის დადგენილება №52 - ვებგვერდი, 30.11.2021 წ.

მუხლი 26. დავების განხილვა

მომხმარებელი უფლებამოსილია, მიმწოდებლის მიერ ამ წესებით დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და თავისი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მიზნით, კანონისა და კომისიის მიერ დამტკიცებული დავების განხილვის წესის შესაბამისად, მიმართოს კომისიას ან სასამართლოს.

მუხლი 27. საჯარო მომსახურების სახით ელექტროენერგიის მიწოდება

1. საჯარო მომსახურების სახით ელექტროენერგიის მიღებაზე უფლებამოსილი მომხმარებლების კრიტერიუმები და საჯარო მომსახურების სახით ელექტროენერგიის მიღების ვადა განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დამტკიცებული ელექტროენერგიის ბაზრის მოდელის კონცეფციით.

2. საჯარო მომსახურების სახით ელექტროენერგიის მიმწოდებელი ვალდებულია, მომსახურება განახორციელოს ამ წესების 28-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და მე-7 პუნქტის, აგრეთვე, 29-ე და 30-ე მუხლების შესაბამისად.

3. თუ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ მომხმარებელსა და საჯარო მომსახურების სახით ელექტროენერგიის მიმწოდებელს შორის დადებული მიწოდების ხელშეკრულება შეწყდება ამ წესების შესაბამისად, მათ შორის, მომხმარებლის მიერ ამ წესების V თავის შესაბამისად თავისუფალ მიმწოდებელთან მიწოდების ხელშეკრულების დადების ან მსხვილი მომხმარებლის მიერ საბითუმო

ბაზარზე ელექტროენერგიის შესყიდვის მიზნით, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მომხმარებელი დაკარგავს საჯარო მომსახურების სახით ელექტროენერგიის ხელახლა მიღების უფლებას.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2022 წლის 24 თებერვლის დადგენილება №3 - ვებგვერდი, 25.02.2022 წ.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2022 წლის 28 აპრილის დადგენილება №19 - ვებგვერდი, 29.04.2022 წ.

თავი III.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2022 წლის 24 თებერვლის დადგენილება №3 - ვებგვერდი, 25.02.2022 წ.

უნივერსალური მომსახურების მიწოდების წესები

მუხლი 28. უნივერსალური მომსახურების მიწოდების პირობები

1. უნივერსალური მომსახურების მიმწოდებელი ახორციელებს მომსახურებას ამ წესების II თავის დებულებების შესაბამისად, თუ ამ თავით სხვა რამ არ არის დადგენილი.

2. უნივერსალური მომსახურების ერთ არეალში არსებულ იმ მომხმარებლებს, რომლებიც უფლებამოსილი არიან, მიიღონ უნივერსალური მომსახურება, ელექტროენერგია შეიძლება მიაწოდოს მხოლოდ ერთმა უნივერსალური მომსახურების მიმწოდებელმა, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაეკისრა შესაბამის არეალში უნივერსალური მომსახურების მიწოდების ვალდებულება.

3. უნივერსალური მომსახურებით შეიძლება ისარგებლოს საყოფაცხოვრებო მომხმარებელმა ან/და მცირე საწარმომ, რომელსაც სურს უნივერსალური მომსახურების მიმწოდებლის მომსახურებით სარგებლობა და შესაბამისი განაცხადით (მათ შორის, მიმწოდებლის შეცვლის განაცხადით) მიმართავს უნივერსალური მომსახურების მიმწოდებელს.

4. უნივერსალური მომსახურების მიმწოდებელი:

ა) უზრუნველყოფს საჯარო მომსახურების ვალდებულების სახით მიწოდებას ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული მომხმარებლისთვის;

ბ) კომისიის ნორმატიული აქტების მოთხოვნათა გათვალისწინებით, უზრუნველყოფს, რომ მომხმარებელთა სხვადასხვა კატეგორიას, რომლებიც იღებენ უნივერსალურ მომსახურებას, არ ჰქონდეს მომსახურებისა და დაცვის ერთნაირი პირობები;

გ) ასრულებს ამ წესებით მიმწოდებლისთვის დადგენილ მოთხოვნებს, თუ ამ თავით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;

დ) შესაბამის შემთხვევაში იღებს ზომებს უნივერსალური მომსახურებით მოსარგებლე საბოლოო მომხმარებლებისთვის ყველაზე მისაღები ფასების დადგენის მიზნით.

5. უნივერსალური მომსახურების მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) უნივერსალური მომსახურების მიწოდების არეალში არსებულ:

ა.ა) ყველა თვითმმართველ ქალაქში იქონიოს, სულ მცირე, ერთი მომსახურების ცენტრი;

ა.ბ) რეგიონში/მხარეში იქონიოს არანაკლებ ორი მომსახურების ცენტრი მომხმარებელთა განთავსებისა და მიმართვიანობის გათვალისწინებით;

ბ) თავის ვებგვერდზე განათავსოს ამ წესების მე-12 მუხლის პირველი პუნქტითა და მე-3 პუნქტის „ა“ და „კ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაცია; აგრეთვე, ინფორმაცია არსებული

თავისუფალი მიმწოდებლების თაობაზე, მათ შორის, კომისიის ვებგვერდის შესაბამის ბმულზე მითითებით.

6. უნივერსალური მომსახურების მიმწოდებელი უფლებამოსილია, მომხმარებელს წერილობით მოსთხოვოს საიდენტიფიკაციო და საკონტაქტო მონაცემების განახლების მიზნით ინფორმაციის მიწოდება, რისთვისაც განუსაზღვრავს გონივრულ ვადას, მაგრამ არანაკლებ 1 თვეს. უნივერსალური მომსახურების მიმწოდებელი ვალდებულია, ინფორმაციის მიწოდებისათვის განსაზღვრული ვადის ამოწურვამდე არანაკლებ 5 დღით ადრე აღნიშნულის თაობაზე გააფრთხილოს მომხმარებელი მოკლე ტექსტური შეტყობინების მეშვეობით, ან, თუ მომხმარებლის ტელეფონის ნომერი მიმწოდებლისათვის ცნობილი არ არის – წერილობით. მომხმარებელი ვალდებულია, ამ პუნქტით გათვალისწინებული ვადის დაცვით, მიაწოდოს უნივერსალური მომსახურების მიმწოდებელს მოთხოვნილი ინფორმაცია.

6[1]. თუ უნივერსალური მომსახურების მიმწოდებელი არ იყენებს ამ წესების მე-18 მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებულ უფლებამოსილებას და საყოფაცხოვრებო მომხმარებლის მიერ მომსახურების საფასურის დადგენილი წესით გადაუხდელობის შემთხვევაში, არ წარუდგენს შესაბამის სისტემის ოპერატორს მიწოდების შეწყვეტის თაობაზე მოთხოვნას, კომისია უფლებამოსილია, საყოფაცხოვრებო მომხმარებლის მოთხოვნის შემთხვევაში, განსაზღვროს მომსახურების საფასურის გადახდის ეტაპობრივი გეგმა, ამ წესების მე-18 მუხლის მე-14 პუნქტით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით. კომისიის მიერ განსაზღვრული მომსახურების საფასურის გადახდის ეტაპობრივი გეგმით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ვადა არ უნდა აღემატებოდეს უნივერსალური მომსახურების მიმწოდებლის ავტორიზაციის ვადას.

7. თუ უნივერსალური მომსახურების მიმწოდებელი ამავდროულად არის თავისუფალი მიმწოდებელი, იგი ვალდებულია, უზრუნველყოს, რომ თავისუფალი მიმწოდებლის მომსახურების განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირებს არ გააჩნდეთ წვდომა უნივერსალური მომსახურების მიმღები მომხმარებლების მონაცემებზე.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2022 წლის 28 აპრილის დადგენილება №19 - ვებგვერდი, 29.04.2022 წ.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2022 წლის 22 დეკემბრის დადგენილება №73 - ვებგვერდი, 28.12.2022 წ.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2023 წლის 21 აპრილის დადგენილება №22 - ვებგვერდი, 27.04.2023 წ.

მუხლი 29. უნივერსალური მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების დადება

1. უნივერსალური მომსახურების მიწოდების ხელშეკრულება იდება უნივერსალური მომსახურების მიმწოდებლის ავტორიზაციის ვადით. მომხმარებლის მოთხოვნის შემთხვევაში, დასაშვებია უნივერსალური მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების დადება ამ პუნქტით გათვალისწინებულზე უფრო მცირე ვადით.

1[1]. თუ უნივერსალური მომსახურების მიწოდების ხელშეკრულება დადებულია უნივერსალური მომსახურების მიმწოდებლის ავტორიზაციის ვადით და ამ ვადის ამოწურვის შემდეგ უნივერსალური მომსახურების მიწოდების ვალდებულება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დაეკისრა იმავე მიმწოდებელს, უნივერსალური მომსახურების მიწოდების ხელშეკრულება ჩაითვლება გაგრძელებულად შესაბამისი ვადით.

2. უნივერსალური მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების სტანდარტულ ფორმას, ამ წესების მე-8 მუხლით გათვალისწინებული მიწოდების ხელშეკრულების სტანდარტული პირობების შესაბამისად, შეიმუშავებს უნივერსალური მომსახურების მიმწოდებელი და ამტკიცებს კომისია. უნივერსალური მომსახურების მიწოდების ხელშეკრულება უნდა აკმაყოფილებდეს ამ წესების მე-7 მუხლის მე-6 პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს.

მუხლი 30. უნივერსალური მომსახურების მიწოდების შეწყვეტა

უნივერსალური მომსახურების მიწოდება შესაძლოა შეწყდეს:

ა) ამ წესების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლებით;

ბ) ამ წესების V თავის შესაბამისად უნივერსალური მომსახურების მიმწოდებლის შეცვლის შედეგად;

გ) თუ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მიმწოდებლის მიერ მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დგინდება, რომ მომხმარებელი აღარ მიეკუთვნება იმ კატეგორიას, რომელიც უფლებამოსილია, ისარგებლოს უნივერსალური მიწოდების მომსახურებით;

დ) უნივერსალური მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის ან ამ წესებით გათვალისწინებული სხვა საფუძვლით ვადამდე შეწყვეტის შედეგად.

თავი III[1].

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2022 წლის 24 თებერვლის დადგენილება №3 - ვებგვერდი, 25.02.2022 წ.

მიკროსიმძლავრის ელექტროსადგური

მუხლი 31. მიკროსიმძლავრის ელექტროსადგური

1. ელექტროენერგიის მიმწოდებელი უფლებამოსილია, გაქვითოს ან/და შეისყიდოს მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურის მიერ გამომუშავებული და გამანაწილებელ ქსელში მიწოდებული ჭარბი ელექტროენერგია.

2. იმ შემთხვევაში, თუ მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურის მფლობელ/მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურით მოსარგებლე მომხმარებელსა და უნივერსალური მომსახურების მიმწოდებელს ან საჯარო მომსახურების სახით ელექტროენერგიის მიმწოდებელს შორის დადებულია მიწოდების ხელშეკრულება, გამოიყენება ანგარიშსწორების შემდეგი წესი:

ა) თუ მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურის მიერ გამომუშავებული და გამანაწილებელ ქსელში მიწოდებული ელექტროენერგიის მოცულობა აღემატება იმავე დარიცხვის პერიოდში მომხმარებლის მიერ გამანაწილებელი ქსელიდან მიღებული ელექტროენერგიის მოცულობას, კილოვატსაათების შესაბამისი სხვაობა აისახება მომდევნო თვის ქვითარში, დადებითი ბალანსის სახით;

ბ) თუ მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურის მფლობელი/მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურით მოსარგებლე მომხმარებლის მიერ ელექტროენერგიის წარმოება და მისთვის ელექტროენერგიის მიწოდება ხორციელდება ერთი მიმწოდებლის არეალში მდებარე სხვადასხვა ადგილებზე, ან თუ მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურის მფლობელ/მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურით მოსარგებლე მომხმარებელს ერთი და იგივე მიმწოდებელი მომსახურებას უწევს ერთზე მეტ მიწოდების მისამართზე, ამ პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული დადებითი ბალანსის ქვითარში ასახვა შეიძლება განხორციელდეს მომხმარებლის მიერ მითითებულ მიწოდების მისამართზე/მისამართებზე;

გ) თუ ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად ქვითარში დადებითი ბალანსის სახით ასახული ელექტროენერგიის მოცულობა და მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურის მიერ გამომუშავებული და ქსელში მიწოდებული ელექტროენერგია ნაკლებია იმავე საანგარიშო პერიოდში მომხმარებლის მიერ გამანაწილებელი ქსელიდან მიღებული ელექტროენერგიის მოცულობაზე, სხვაობის სახით მიღებული კილოვატსაათები ჩაითვლება მიწოდების ხელშეკრულების შესაბამისად შესყიდულ ელექტროენერგიად;

დ) საანგარიშო წლის ბოლოს, უნივერსალური მომსახურების მიმწოდებელი ან საჯარო მომსახურების

სახით ელექტროენერგიის მიმწოდებელი უზრუნველყოფს მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურის მფლობელი/მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურით მოსარგებლე მომხმარებლისათვის ქვითრის მიწოდებას, რომლის საფუძველზეც ხორციელდება საბოლოო ანგარიშსწორება. ამ ქვეპუნქტის მიზნებისთვის, საანგარიშო წლად ჩაითვლება 1 მაისიდან მომდევნო წლის 1 მაისამდე დროის მონაკვეთი. საანგარიშო წლის აპრილის ქვითრით გათვალისწინებულ, დადებითი ბალანსის სახით ასახული ელექტროენერგიის მოცულობას სრულად შეისყიდის უნივერსალური მომსახურების მიმწოდებელი ან საჯარო მომსახურების სახით ელექტროენერგიის მიმწოდებელი შემდეგი წესით:

დ.ა) დადებითი ბალანსის სახით ასახული ელექტროენერგიის შესაბამის თანხას ასახავს მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურის მფლობელი/მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურით მოსარგებლე მომხმარებლის ანგარიშზე და გაითვალისწინებს შემდგომი ანგარიშსწორებისას; ან

დ.ბ) მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურის მფლობელი/მიკროსიმძლავის ელექტროსადგურით მოსარგებლე მომხმარებლის მოთხოვნის შემთხვევაში, მოთხოვნიდან 3 დღის ვადაში, შესაბამის თანხას გადარიცხავს მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3. უნივერსალური მომსახურების მიმწოდებლის ან საჯარო მომსახურების სახით ელექტროენერგიის მიმწოდებლის მიერ მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურის მიერ გამომუშავებული და გამანაწილებელ ქსელში მიწოდებული ელექტროენერგიის შესასყიდი ფასია ელექტროენერგიის დღით ადრე ბაზრის საშუალო საბაზრო ფასი, რომელიც განისაზღვრება ამ მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საანგარიშო წლის მონაცემების შესაბამისად.

4. მომხმარებელთა ჯგუფის მიერ მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურის ფლობის/ მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურით სარგებლობის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურის მფლობელ/მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურით მოსარგებლე თითოეულ მომხმარებელთან საბოლოო ანგარიშსწორება ინდივიდუალურად, ამ მუხლით დადგენილი წესით;

ბ) მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურის მიერ გამანაწილებელ ქსელში მიწოდებული ელექტროენერგიის მოცულობის დადებითი ბალანსის სახით ასახვისას და საბოლოო ანგარიშსწორებისას იხელმძღვანელოს მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურის მფლობელ/მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურით მოსარგებლე მომხმარებელთა ჯგუფის წევრებს შორის არსებული შეთანხმებით, ხოლო ასეთის არარსებობის შემთხვევაში, თუ მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურის მფლობელი/მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურით მოსარგებლე ყველა მომხმარებელი მიწოდების მომსახურებას იღებს ერთსა და იმავე მიმწოდებლისგან – შესაბამისი მოცულობები თანაბრად გაანაწილოს ჯგუფის ყველა წევრზე;

გ) ჯგუფის ერთ-ერთი წევრის მიერ მომსახურების საფასურის დროულად გადაუხდელობის შემთხვევაში – ამ წესების შესაბამისად, მოითხოვოს მიწოდების შეწყვეტა მხოლოდ კონკრეტული მომხმარებლისთვის;

დ) ანგარიშსწორების მიზნით, მიაწოდოს მოთხოვნილი აუცილებელი ინფორმაცია სხვა მიმწოდებელს, რომელიც მიწოდების მომსახურებას უწევს ამავე ჯგუფის წევრს/წევრებს.

5. იმ შემთხვევაში, თუ მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურის მფლობელ/მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურით მოსარგებლე მომხმარებელსა და თავისუფალ მიმწოდებელს შორის დადებული მიწოდების ხელშეკრულება არ ითვალისწინებს მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურის მიერ გამომუშავებული და გამანაწილებელ ქსელში მიწოდებული ელექტროენერგიის შესყიდვას, აგრეთვე, თუ მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურის მფლობელი/მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურით მოსარგებლე მომხმარებელი წარმოადგენს მსხვილ მომხმარებელს, რომელიც ელექტროენერგიას შეისყიდის მხოლოდ ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარზე, უნივერსალური მომსახურების მიმწოდებელი ვალდებულია, ყოველთვიურად სრულად შეისყიდოს მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურის მიერ გამანაწილებელ ქსელში მიწოდებული ელექტროენერგია, ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული ფასით.

6. იმ შემთხვევაში, თუ უნივერსალური მომსახურების მიმწოდებლის ან საჯარო მომსახურების სახით

ელექტროენერგიის მიმწოდებლის ავტორიზაციის ვადა ან მიწოდების ხელშეკრულების მოქმედების ვადა იწურება ამ მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საანგარიშო წლის გასვლამდე, უნივერსალური მომსახურების მიმწოდებელი ან ელექტროენერგიის საჯარო მომსახურების სახით მიმწოდებელი ვალდებულია, მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურის მიერ გამომუშავებული და გამანაწილებელ ქსელში მიწოდებული ელექტროენერგია შეისყიდოს ავტორიზაციის ვადის/მიწოდების ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვის დღის მდგომარეობით და მომხმარებელთან საბოლოო ანგარიშსწორება უზრუნველყოს ამ წესების მე-16 მუხლის მე-7 პუნქტითა და ამ მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით დადგენილი წესით, გარდა ამ წესების 29-ე მუხლის 1^1 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

7. მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურის მფლობელი/მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურით მოსარგებლე საბოლოო მომხმარებელი, რომელიც ელექტროენერგიას შეისყიდის უნივერსალური მომსახურების მიმწოდებლისგან, თავისუფლდება ამ მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული წესით გაქვითული ელექტროენერგიის მოცულობასთან მიმართებით სასისტემო მომსახურების საფასურის გადახდის ვალდებულებისგან.

თავი IV. ბოლო ალტერნატივის მიწოდების წესები

მუხლი 32. ბოლო ალტერნატივის მიწოდების პირობები

1. თუ მიმწოდებლის მიერ საბაზრო საქმიანობის გეგმურად ან არაგეგმურად შეწყვეტის ან ვალდებულებების უხეშად დარღვევის, მათ შორის, ამ წესებით დადგენილი პირობების დარღვევით მიწოდების შეწყვეტის გამო მომხმარებელმა დაკარგა ელექტროენერგიის მიღების საშუალება, ამ მომხმარებლისთვის მიწოდებას, სპეციალური მოთხოვნის წარდგენის გარეშე, უზრუნველყოფს ბოლო ალტერნატივის მიმწოდებელი.

2. ბოლო ალტერნატივის მიმწოდებელი :

ა) ახორციელებს ბოლო ალტერნატივის მიწოდებას ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული მომხმარებლებისთვის კანონის საფუძველზე, ამ წესების II თავის მოთხოვნების დაცვითა და ამ თავის დებულებების გათვალისწინებით;

ბ) ვებგვერდზე აქვეყნებს ინფორმაციას:

ბ.ა) ბოლო ალტერნატივის მიწოდების წესებისა და პირობების შესახებ;

ბ.ბ) არსებული თავისუფალი მიმწოდებლებისა და მიმწოდებლის შეცვლის პროცედურის თაობაზე.

3. ბოლო ალტერნატივის მიწოდების ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 3 თვეს.

4. თუ ბოლო ალტერნატივის მიმწოდებელი იმავდროულად არის თავისუფალი მიმწოდებელი, იგი ვალდებულია, უზრუნველყოს, რომ თავისუფალი მიმწოდებლის მომსახურების განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირებს არ გააჩნდეთ წვდომა ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მომხმარებლების მონაცემებზე.

მუხლი 33. ბოლო ალტერნატივის მიწოდების შემთხვევის დადგომა

1. მიმწოდებელი, რომელიც ვერ უზრუნველყოფს მიწოდებას ამ წესების 32-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ვალდებულია, მომხმარებელს, კომისიას, ბოლო ალტერნატივის მიმწოდებელსა და სისტემის ოპერატორებს აცნობოს მიწოდების შეწყვეტამდე 30 დღით ადრე მაინც, ან, თუ მას არ შეეძლო, წინასწარ სცოდნოდა აღნიშნულის შესახებ, არაუგვიანეს მომდევნო დღისა მას შემდეგ, რაც მისთვის ცნობილი გახდა მიწოდების შეუძლებლობის თაობაზე.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შეტყობინება უნდა შეიცავდეს მკაფიო

მითითებას ბოლო ალტერნატივის მიწოდების შემთხვევის დადგომასა და შესაბამის საფუძველზე.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 5 დღის ვადაში, კომისია ვებგვერდზე აქვეყნებს ინფორმაციას ბოლო ალტერნატივის მიწოდების შემთხვევის დადგომისა და ბოლო ალტერნატივის მიწოდების მომსახურების დაწყების თარიღის შესახებ.

4. სისტემის ოპერატორმა, ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 5 დღის ვადაში, ბოლო ალტერნატივის მიმწოდებელს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია იმ მომხმარებელთა შესახებ, რომლებიც უფლებამოსილი არიან, ისარგებლონ ბოლო ალტერნატივის მიწოდების მომსახურებით, მათ შორის, ინფორმაცია მათი მიწოდების მისამართების, აბონენტის ნომრებისა და საკონტაქტო მონაცემების თაობაზე.

5. ბოლო ალტერნატივის მიწოდება იწყება მიმწოდებლის მიერ ამ წესების 32-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად მომხმარებლისთვის მიწოდების შეწყვეტის მომენტიდან.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2021 წლის 31 დეკემბრის დადგენილება №79 - ვებგვერდი, 31.12.2021 წ.

მუხლი 34. ბოლო ალტერნატივის მიწოდების ხელშეკრულების დადება

1. ბოლო ალტერნატივის მიწოდების ხელშეკრულების სტანდარტულ ფორმას, ამ წესების მე-8 მუხლით გათვალისწინებული სტანდარტული პირობების შესაბამისად, შეიმუშავებს ბოლო ალტერნატივის მიმწოდებელი და ამტკიცებს კომისია. ბოლო ალტერნატივის მიწოდების ხელშეკრულება უნდა აკმაყოფილებდეს ამ წესების მე-7 მუხლის მე-6 პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. ბოლო ალტერნატივის მიმწოდებელი ვალდებულია, ბოლო ალტერნატივის მიწოდების დაწყებიდან არაუგვიანეს 8 დღის ვადაში, მომხმარებელს გაუგზავნოს ხელმოწერილი მიწოდების ხელშეკრულება, მატერიალური ფორმით.

3. ბოლო ალტერნატივის მიმწოდებელსა და მომხმარებელს შორის მიწოდების ხელშეკრულება დადებულად ითვლება ბოლო ალტერნატივის მიწოდების დაწყების დღიდან.

მუხლი 35. მრიცხველის წაკითხვა

1. მიმწოდებელი, რომელიც ვერ უზრუნველყოფს მიწოდებას ამ წესების 32-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ვალდებულია, საბოლოო დარიცხვის პერიოდისთვის მომზადებული ქვითრის მომხმარებლისთვის მიწოდება უზრუნველყოს მიწოდების შეწყვეტიდან 6 კვირის ვადაში.

2. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი არ ასრულებს ამ წესების 33-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ვალდებულებას, რის გამოც სისტემის ოპერატორი ვერ უზრუნველყოფს მრიცხველის წაკითხვას საბოლოო დარიცხვის პერიოდისთვის მიმწოდებლის მიერ ქვითრის მომზადების მიზნით, სისტემის ოპერატორი აცნობებს მომხმარებელს, რომ იგი უფლებამოსილია, სისტემის ოპერატორს ელექტრონულად გაუგზავნოს მრიცხველის ჩვენება ბოლო ალტერნატივის მიწოდების დაწყების დღის მდგომარეობით, ხოლო თუ მიმწოდებლის მიერ ამ წესების 33-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ვალდებულების შეუსრულებლობის შესახებ ცნობილი გახდა მოგვიანებით – სისტემის ოპერატორის მიერ შეტყობინების დღის მდგომარეობით. სისტემის ოპერატორი ვალდებულია, ამ პუნქტით გათვალისწინებული გარემოების დადგომის თაობაზე დაუყოვნებლივ აცნობოს კომისიას. კომისია უფლებამოსილია, არ დაეთანხმოს სისტემის ოპერატორის მიერ მრიცხველის ამ პუნქტით გათვალისწინებული წესით ჩვენების აღებას და მოსთხოვოს მას მრიცხველის ადგილზე წაკითხვა.

2^1. იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებლის მიერ ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად მრიცხველის ჩვენების გაგზავნის დღე ან ამ მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად სისტემის ოპერატორის მიერ

მრიცხველის წაკითხვის დღე არ ემთხვევა კომისიის მიერ დამტკიცებული გამანაწილებელი ქსელის წესების შესაბამისად, სისტემის ოპერატორისთვის განსაზღვრულ მრიცხველების წაკითხვის პერიოდს, სისტემის ოპერატორი ვალდებულია, მრიცხველის მომდევნო წაკითხვა უზრუნველყოს გამანაწილებელი ქსელის წესებით დადგენილ პერიოდში. ასეთ შემთხვევაში, დასაშვებია მომხმარებლისათვის ქვითრის მიწოდება ამ წესების მე-15 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ვადის (პერიოდულობის) დაუცველად.

3. სისტემის ოპერატორი ვალდებულია, ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილებისა და ბოლო ალტერნატივის მიწოდების დაწყების თარიღის თაობაზე მომხმარებელს აცნობოს დაუყოვნებლივ, როგორც კი მისთვის ცნობილი გახდება მიმწოდებლის მიერ საბაზრო საქმიანობის შეწყვეტისა და ბოლო ალტერნატივის მიწოდების შემთხვევის დადგომის შესახებ.

4. თუ მომხმარებელი არ სარგებლობს ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული უფლებით, სისტემის ოპერატორი ვალდებულია, უზრუნველყოს მრიცხველის წაკითხვა დაუყოვნებლივ, შესაძლო უმოკლეს ვადაში, ხოლო მიმწოდებლისა და ბოლო ალტერნატივის მიმწოდებლის მიერ მიწოდებული ელექტროენერგიის მოცულობა განსაზღვროს შესაბამის საანგარიშო პერიოდში მომხმარებლის საშუალო დღიური მოხმარების გამრავლებით იმ დღეების რაოდენობაზე, როდესაც ხორციელდებოდა, შესაბამისად, მიწოდება ან ბოლო ალტერნატივის მიწოდება.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2021 წლის 31 დეკემბრის დადგენილება №79 - ვებგვერდი, 31.12.2021 წ.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2022 წლის 24 თებერვლის დადგენილება №3 - ვებგვერდი, 25.02.2022 წ.

მუხლი 36. ბოლო ალტერნატივის მიმწოდებლის სხვა მიმწოდებლით შეცვლა

1. მომხმარებელი უფლებამოსილია, ბოლო ალტერნატივის მიწოდების დაწყებამდე აირჩიოს მიმწოდებელი. თუ მიმწოდებლის შეცვლის პროცესი არ დასრულდება ბოლო ალტერნატივის მიწოდების დაწყების თარიღამდე, ბოლო ალტერნატივის მიმწოდებელი ვალდებულია, ახალი მიმწოდებლის მიერ მიწოდების დაწყებამდე, ამ წესებით დადგენილი პირობებითა და ამ წესების 32-ე მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი ვადის დაცვით, უზრუნველყოს მომხმარებლისთვის ბოლო ალტერნატივის მიწოდება.

2. მომხმარებელი უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს შეცვალოს ბოლო ალტერნატივის მიმწოდებელი სხვა მიმწოდებლით, ამ წესების V თავის შესაბამისად.

მუხლი 37. ბოლო ალტერნატივის მიწოდების შეწყვეტის საფუძვლები

ბოლო ალტერნატივის მიწოდება შესაძლოა შეწყდეს:

ა) ამ წესების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლებით;

ბ) ბოლო ალტერნატივის მიწოდების ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის შემთხვევაში;

გ) ამ წესების V თავის შესაბამისად ბოლო ალტერნატივის მიმწოდებლის შეცვლის შედეგად;

დ) ბოლო ალტერნატივის მიწოდების ხელშეკრულების ამ წესებით გათვალისწინებული სხვა საფუძვლით შეწყვეტის შემთხვევაში.

თავი V. მიმწოდებლის შეცვლის წესები

მუხლი 38. მიმწოდებლის შეცვლის ზოგადი წესი

1. მომხმარებელი უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს შეცვალოს მიმწოდებელი. მიმწოდებლის შეცვლა უფასოა.

2. მომხმარებლის მიერ მიმწოდებლის შეცვლის პროცედურის განხორციელებას უზრუნველყოფს ახალი მიმწოდებელი.

მუხლი 39. მიმწოდებლის შეცვლის განაცხადი

1. მომხმარებელი, რომელსაც სურს მიმწოდებლის შეცვლა, ამ წესების მე-8 მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული წესით მიწოდების ხელშეკრულებაზე მიერთებისას, ახალ მიმწოდებელს წარუდგენს მიმწოდებლის შეცვლის განაცხადს. მიმწოდებლის შეცვლის განაცხადის ფორმას ამტკიცებს კომისია.

2. მომხმარებელი უფლებამოსილია, მიმწოდებლის შეცვლის განაცხადი ახალ მიმწოდებელს წარუდგინოს მატერიალური ფორმით ან ელექტრონულად, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. მიმწოდებლის შეცვლის განაცხადი უნდა შეიცავდეს:

ა) მომხმარებლის საიდენტიფიკაციო მონაცემებს;

ა[1]) სისტემის ოპერატორის დასახელებას, რომლის გამანაწილებელ ქსელზეც მიერთებულია მომხმარებელი;

ბ) აბონენტის ნომერს;

გ) მიწოდების მისამართს, საკონტაქტო ინფორმაციას, მათ შორის, მომხმარებლის სურვილის შემთხვევაში – დამატებითი საკონტაქტო პირის მონაცემებს;

დ) მიმწოდებლის შეცვლის/ახალი მიმწოდებლის მიერ მიწოდების დაწყების სასურველ თარიღს;

ე) თანხმობას, რომ არსებულ მიმწოდებელთან და სისტემის ოპერატორთან მომხმარებლის სახელით ურთიერთობა აწარმოოს ახალმა მიმწოდებელმა.

4. (ამოღებულია - 24.02.2022, №3).

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2021 წლის 31 დეკემბრის დადგენილება №79 - ვებგვერდი, 31.12.2021 წ.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2022 წლის 24 თებერვლის დადგენილება №3 - ვებგვერდი, 25.02.2022 წ.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2022 წლის 1 სექტემბრის დადგენილება №47 - ვებგვერდი, 06.09.2022 წ.

მუხლი 40. მიმწოდებლის შეცვლის პროცედურა

1. მიმწოდებლის შეცვლის პროცედურის მიმდინარეობისას, არსებულ მიმწოდებელს, ახალ მიმწოდებელს, შესაბამის სისტემის ოპერატორსა და კომისიას შორის ურთიერთობა ხორციელდება სპეციალური ელექტრონული სისტემის მეშვეობით.

2. ახალი მიმწოდებელი ამოწმებს მიმწოდებლის შეცვლის განაცხადის ამ წესების 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნებთან შესაბამისობას და მასში მოცემული ინფორმაციის სისწორეს. ამ მიზნით, ახალი მიმწოდებელი გამოითხოვს ინფორმაციას შესაბამისი სისტემის ოპერატორისგან.

3. თუ ახალი მიმწოდებელი მიიჩნევს, რომ განაცხადი არ შეესაბამება ამ წესების 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნებს ან შეიცავს არასწორ ინფორმაციას, ამის თაობაზე აცნობებს მომხმარებელს განაცხადის მიღებიდან სამი დღის ვადაში და განუსაზღვრავს გონივრულ ვადას ხარვეზის გამოსასწორებლად, რომელიც არ უნდა იყოს ორ დღეზე ნაკლები. ამ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, მომხმარებლის მიერ ხარვეზის აღმოფხვრამდე, მიმწოდებლის შეცვლის ვადის დინება ჩერდება.

4. ახალი მიმწოდებელი წყვეტს განაცხადის განხილვას, თუ მომხმარებელი არ აღმოფხვრის ხარვეზს ამ მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილ ვადაში, რის შესახებაც აცნობებს მომხმარებელს. მომხმარებელი უფლებამოსილია, ახალი განაცხადით ხელახლა მიმართოს ახალ მიმწოდებელს.

5. მომხმარებლის მიერ მიმწოდებლის შეცვლის განაცხადის წარდგენიდან, ხოლო ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში, ხარვეზის აღმოფხვრიდან ორი დღის ვადაში, ახალი მიმწოდებელი:

ა) შესაბამის სისტემის ოპერატორს უგზავნის მიმწოდებლის შეცვლის განაცხადს;

ბ) მომხმარებლის არსებულ მიმწოდებელს უგზავნის ინფორმაციას მიმწოდებლის შეცვლის პროცედურის დაწყების თაობაზე, მომხმარებლის საიდენტიფიკაციო მონაცემებისა და შესაბამისი აბონენტის ნომრის მითითებით.

6. თუ ახალი მიმწოდებელი ამ მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად ინფორმაციის გაგზავნიდან სამი დღის ვადაში არ მიიღებს უარს მიმწოდებლის შეცვლაზე ამ წესების 41-ე მუხლით გათვალისწინებული რომელიმე საფუძვლით, იგი განაცხადის დაკმაყოფილების თაობაზე დაუყოვნებლივ აცნობებს სისტემის ოპერატორს, არსებულ მიმწოდებელსა და მომხმარებელს.

7. თუ სისტემის ოპერატორი სხვადასხვა ახალი მიმწოდებლისაგან მიიღებს ინფორმაციას ერთი და იმავე მომხმარებლის მიერ (გარდა მსხვილი მომხმარებლისა) ერთი საკადასტრო კოდის მქონე უძრავ ქონებაზე/ობიექტზე მიმწოდებლის შეცვლის შესახებ განაცხადის წარდგენის თაობაზე, იგი შესაბამის შეტყობინებას უგზავნის იმ ახალ მიმწოდებელს, რომელსაც უფრო ადრე წარედგინა განაცხადი, რაც უფრო ადრე წარდგენილი განაცხადის განხილვის შეწყვეტის საფუძველია. უფრო გვიან წარდგენილი განაცხადი განიხილება ამ მუხლით დადგენილი წესით.

8. მიმწოდებლის შეცვლის თაობაზე ამ წესების 41-ე მუხლით გათვალისწინებული რომელიმე საფუძვლით უარის მიღების შემთხვევაში, ახალი მიმწოდებელი, არაუგვიანეს მომდევნო დღისა, აღნიშნულის თაობაზე აცნობებს კომისიას, სისტემის ოპერატორს, არსებულ მიმწოდებელსა და მომხმარებელს. ამ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მიმწოდებლის შეცვლის პროცედურის ვადის დინება ჩერდება.

9. კომისია, მიმწოდებლის შეცვლის თაობაზე უარის შესახებ ინფორმაციის მიღების შემთხვევაში, შეისწავლის უარის მიზეზს და იღებს გადაწყვეტილებას მიმწოდებლის შეცვლის განაცხადის დაკმაყოფილების ან მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე და აცნობებს ახალ მიმწოდებელს, რომელიც, თავის მხრივ, აღნიშნულის თაობაზე დაუყოვნებლივ ატყობინებს სისტემის ოპერატორს, არსებულ მიმწოდებელსა და მომხმარებელს. კომისიის მიერ მიმწოდებლის შეცვლის განაცხადის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შემთხვევაში, მიმწოდებლის შეცვლის პროცედურა წყდება, ხოლო მიმწოდებლის შეცვლის განაცხადის დაკმაყოფილების შემთხვევაში, ახალი მიმწოდებლის მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე, მიმწოდებლის შეცვლის პროცედურის ვადის დინება განახლდება.

10. განაცხადის დაკმაყოფილების შემთხვევაში, მიმწოდებლის შეცვლის ან ახალი მიმწოდებლის მიერ მიწოდების დაწყების დღეს, რომელიც მითითებულია მიმწოდებლის შეცვლის განაცხადში, შესაბამისი სისტემის ოპერატორი უზრუნველყოფს მრიცხველის წაკითხვას.

10^1. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის შეცვლის ან ახალი მიმწოდებლის მიერ მიწოდების დაწყების დღე არ ემთხვევა კომისიის მიერ დამტკიცებული გამანაწილებელი ქსელის წესების შესაბამისად, სისტემის ოპერატორისთვის განსაზღვრულ მრიცხველების წაკითხვის პერიოდს, სისტემის ოპერატორი ვალდებულია, მრიცხველის მომდევნო წაკითხვა უზრუნველყოს გამანაწილებელი ქსელის წესებით დადგენილ პერიოდში. ასეთ შემთხვევაში, დასაშვებია მომხმარებლისათვის ქვითრის მიწოდება ამ წესების მე-15 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ვადის (პერიოდულობის) დაუცველად.

11. მიმწოდებლის შეცვლის პროცედურა სრულდება ამ მუხლის მე-6 ან მე-9 პუნქტის შესაბამისად ახალი მიმწოდებლის მიერ სისტემის ოპერატორისთვის, არსებული მიმწოდებლისა და მომხმარებლისათვის მიმწოდებლის შეცვლის განაცხადის დაკმაყოფილების თაობაზე შეტყობინების გაგზავნისთანავე. მიმწოდებლის შეცვლის ვადა არ უნდა აღემატებოდეს მიმწოდებლის შეცვლის განაცხადის მიღებიდან სამ კვირას.

12. მომხმარებელი უფლებამოსილია, უარი თქვას მიმწოდებლის შეცვლაზე ამ მუხლით გათვალისწინებული პროცესის დასრულებამდე და მოითხოვოს მიმწოდებლის შეცვლის განაცხადის განხილვის შეწყვეტა. ასეთ შემთხვევაში, დაუშვებელია, მომხმარებელს დაეკისროს პირგასამტეხლო ან რაიმე სხვა სახის გადასახდელი.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2022 წლის 24 თებერვლის დადგენილება №3 - ვებგვერდი, 25.02.2022 წ.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2022 წლის 1 სექტემბრის დადგენილება №47 - ვებგვერდი, 06.09.2022 წ.

მუხლი 41. მიმწოდებლის შეცვლაზე უარის თქმის საფუძვლები

1. სისტემის ოპერატორის მიერ მიმწოდებლის შეცვლაზე უარის თქმის საფუძვლებია:

ა) თუ სისტემის ოპერატორის ხელთ არსებული ინფორმაცია ადასტურებს, რომ მომხმარებელმა ერთსა და იმავე დღეს მიმართა ერთზე მეტ მიმწოდებელს, ერთი საკადასტრო კოდის მქონე უძრავ ქონებაზე/ობიექტზე მიმწოდებლის შეცვლის განაცხადებით;

ბ) მიმწოდებლის შეცვლის განაცხადის შეუსაბამობა ქსელთან მიერთების ტექნიკურ მახასიათებლებთან.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული უარის თქმის საფუძველი არ გამოიყენება მსხვილი მომხმარებლის შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის შეცვლის განაცხადის დაკმაყოფილება არ იწვევს ქსელთან მიერთების ტექნიკურ მახასიათებლებთან შეუსაბამობას.

3. არსებული მიმწოდებლის მიერ მიმწოდებლის შეცვლაზე უარის თქმის საფუძველია მომხმარებლის მიერ დარიცხვის ერთზე მეტ პერიოდზე დარიცხული მომსახურების საფასურის გადაუხდელობა.

მუხლი 42. მხარეთა ვალდებულებები მიმწოდებლის შეცვლისას

1. არსებული მიმწოდებელი ვალდებულია, ამ წესებით დადგენილი პირობებით, უზრუნველყოს მომხმარებლისთვის მიწოდება ახალ მიმწოდებელთან დადებული მიწოდების ხელშეკრულების ძალაში შესვლასა და ახალი მიმწოდებლის მიერ მიწოდების დაწყებამდე, იმგვარად, რომ აღნიშნულმა არ გამოიწვიოს მომხმარებლისთვის მიწოდების წყვეტა. ამ პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულება არ ვრცელდება იმ შემთხვევაზე, როდესაც მომხმარებელს მიწოდება შეწყვეტილი ჰქონდა არსებული მიმწოდებლის მოთხოვნით ან თუ მომხმარებელი არ იხდის მომსახურების საფასურს ამ წესებით დადგენილი პირობების შესაბამისად.

2. თუ მომხმარებელი ამ წესებით დადგენილ ვადაში არ გადაიხდის არსებული მიმწოდებლის მიერ საბოლოო დარიცხვის პერიოდზე დარიცხულ მომსახურების საფასურს, არსებული მიმწოდებელი აღნიშნულის თაობაზე აცნობებს ახალ მიმწოდებელს, რომელიც ვალდებულია, დაუყოვნებლივ მიმართოს შესაბამის სისტემის ოპერატორს მომხმარებლისთვის მიწოდების შეწყვეტის მოთხოვნით.

თავი VI. გარდამავალი დებულებები

მუხლი 43. ამ წესების ამოქმედებამდე წარმოშობილი ურთიერთობების რეგულირების წესი

1. გამანაწილებელი სისტემის ოპერატორი ვალდებულია:

ა) ელექტროენერგიის განაწილების ლიცენზიატთან რეგისტრირებულ მომხმარებელთან საბოლოო ანგარიშსწორების მიზნით, უზრუნველყოს კომისიის შესაბამისი სამართლებრივი აქტით განსაზღვრული წესით საბოლოო დარიცხვის პერიოდზე მომზადებული ქვითრის მომხმარებლისთვის მიწოდება, მიწოდების, მათ შორის, უნივერსალური მომსახურების მიწოდების ან საჯარო მომსახურების სახით ელექტროენერგიის მიწოდების დაწყებიდან 6 კვირის ვადაში;

ბ) ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად საბოლოო დარიცხვის პერიოდზე მომზადებული ქვითრის საფუძველზე ანგარიშსწორებიდან 10 დღის ვადაში:

ბ.ა) უზრუნველყოს ელექტროენერგიის განაწილების ლიცენზიატისთვის მომხმარებლის მიერ წარდგენილი დეპოზიტის გადაცემა შესაბამისი მიმწოდებლისათვის ან უარი განაცხადოს მომხმარებლის მიერ განაწილების ლიცენზიატისათვის წარდგენილი საბანკო გარანტიიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლებაზე და ამ პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების თაობაზე აცნობოს მომხმარებელს;

ბ.ბ) უზრუნველყოს მომხმარებლის ანგარიშზე დადებითი ბალანსის სახით არსებული თანხის გადაცემა შესაბამისი მიმწოდებლისთვის, მომდევნო დარიცხვის პერიოდზე/პერიოდებზე დარიცხული მომსახურების საფასურის გადახდის მიზნით გასათვალისწინებლად.

2. 2021 წლის 1 ივლისიდან 1 აგვისტომდე პერიოდში, აგრეთვე, ქ. თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში – 2021 წლის 25 ნოემბრიდან 31 დეკემბრამდე პერიოდში, ხოლო ქ. თბილისის ადმინისტრაციული საზღვრების გარეთ – 2022 წლის 1 მარტიდან 1 აპრილამდე პერიოდში, გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის მიერ მრიცხველის წაკითხვა და შესაბამისი დარიცხვის განხორციელება დასაშვებია ამ წესის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი ვადის (პერიოდულობის) დაუცველად.

3. გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის მიერ ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების შემდგომ, თუ არ არსებობს დეპოზიტის წარდგენის ამ წესების 24-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საფუძველი, მომხმარებელი უფლებამოსილია, მიმართოს შესაბამის მიმწოდებელს და მოითხოვოს დეპოზიტის დაბრუნება. მიმწოდებელი ვალდებულია, უზრუნველყოს დეპოზიტის შენახვა მომხმარებლის მიერ საბანკო ანგარიშის რეკვიზიტების წარდგენამდე. იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელი არ მოითხოვს დეპოზიტის დაბრუნებას მომდევნო ანგარიშსწორებამდე, მიმწოდებელი უზრუნველყოფს დეპოზიტის ასახვას მომხმარებლის ანგარიშზე დადებითი ბალანსის სახით და გაითვალისწინებს მომდევნო ანგარიშსწორებისას. მომხმარებელი უფლებამოსილია, შესაბამის მიმწოდებელს მოსთხოვოს ანგარიშზე დადებითი ბალანსის სახით ასახული თანხის დაბრუნება ამ წესებით გათვალისწინებული პირობებით.

4. თუ ამ წესების ამოქმედებამდე ელექტროენერგიის განაწილების ლიცენზიატს მის მომხმარებლად (აბონენტად) რეგისტრირებულ პირებთან დადებული აქვს დავალიანების განაწილვადების ხელშეკრულება, იგი (გამანაწილებელი სისტემის ოპერატორი) უფლებამოსილია, მიმწოდებელს, მათ შორის, უნივერსალური მომსახურების მიმწოდებელსა და საჯარო მომსახურების სახით ელექტროენერგიის მიმწოდებელს, მიაწოდოს შესაბამისი ინფორმაცია და მოსთხოვოს ამ ხელშეკრულების საფუძველზე გადასახდელი ყოველთვიური თანხის ქვითარში ასახვა, გარდა ამ წესების მე-17 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული დავალიანებისა.

5. თუ ამ წესების ამოქმედებამდე ელექტროენერგიის განაწილების ლიცენზიატი ახორციელებდა მომხმარებლის მოწესრიგებული აღრიცხვიანობის პერიოდზე დაკვირვებას კომისიის 2008 წლის 18 სექტემბრის №20 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერგიის (სიმძლავრის) მიწოდებისა და მოხმარების წესების“ შესაბამისად, იგი (გამანაწილებელი სისტემის ოპერატორი) უფლებამოსილია, დაასრულოს დაკვირვება ამ წესების ამოქმედების შემდეგ, წარუდგინოს მიმწოდებელს სათანადო ინფორმაცია და მოსთხოვოს შესაბამისი თანხის ქვითარში ასახვა.

6. მიმწოდებელი, მათ შორის, უნივერსალური მომსახურების მიმწოდებელი და საჯარო მომსახურების სახით ელექტროენერგიის მიმწოდებელი, ვალდებულია, უზრუნველყოს ამ მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტებით გათვალისწინებული თანხის სათანადოდ იდენტიფიცირება და შესაბამისი სისტემის ოპერატორისთვის ანაზღაურება.

7. გამანაწილებელი სისტემის ოპერატორი უფლებამოსილია, მომხმარებელს შეუწყვიტოს მიწოდება:

ა) ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად ქვითარში ასახული თანხის მომხმარებლის მიერ გადაუხდელობის შემთხვევაში – თუ მომხმარებლის მიერ წინსწრებით გადახდილი თანხა ან/და ელექტროენერგიის განაწილების ლიცენზიატისთვის წარდგენილი დეპოზიტი არ არის საკმარისი გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის (ელექტროენერგიის განაწილების ლიცენზიატის) მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად;

ბ) ამ მუხლის მე-4 ან/და მე-5 პუნქტის შესაბამისად ქვითარში ასახული თანხის მომხმარებლის მიერ გადაუხდელობის შემთხვევაში.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2021 წლის 28 ივნისის დადგენილება №25 - ვებგვერდი, 30.06.2021 წ.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2021 წლის 25 ნოემბრის დადგენილება №52 - ვებგვერდი, 30.11.2021 წ.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2021 წლის 31 დეკემბრის დადგენილება №79 - ვებგვერდი, 31.12.2021 წ.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2022 წლის 24 თებერვლის დადგენილება №3 - ვებგვერდი, 25.02.2022 წ.

მუხლი 44. (ამოღებულია)

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2021 წლის 31 დეკემბრის დადგენილება №79 - ვებგვერდი, 31.12.2021 წ.

მუხლი 45. მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურთან დაკავშირებული გარდამავალი დებულებები

1. ამ წესების 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის მიზნებისთვის, პირველი საანგარიშო პერიოდი განისაზღვრება 2021 წლის 1 ივლისიდან 2024 წლის 30 აპრილის ჩათვლით დროის მონაკვეთით.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირველი საანგარიშო პერიოდისთვის უნივერსალური მომსახურების მიმწოდებლის ან საჯარო მომსახურების სახით ელექტროენერგიის მიმწოდებლის მიერ მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურის მიერ გამომუშავებული და გამანაწილებელ ქსელში მიწოდებული ელექტროენერგიის ფასს წარმოადგენს „ელექტროენერგიის სექტორში განსახორციელებელი გარდამავალი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“ კომისიის 2020 წლის 12 ნოემბრის N58 დადგენილების მე-11 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ ანგარიშსწორების პერიოდში ელექტროენერგიის განაწილების ლიცენზიატების მიერ ქსელში მიწოდებული ელექტროენერგიის შესყიდვის მიზნით გადახდილი ფასი.

3. ამ წესების 31-ე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული წესით გაქვითული ელექტროენერგიის მოცულობასთან მიმართებით სასისტემო მომსახურების საფასურის გადახდის ვალდებულებისგან 2026 წლის 1 მაისამდე გათავისუფლებულია მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურის მფლობელი/მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურით მოსარგებლე საბოლოო მომხმარებელი, რომელსაც მიწოდების ხელშეკრულება დადებული აქვს საჯარო მომსახურების სახით ელექტროენერგიის მიმწოდებელთან.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2022 წლის 24 თებერვლის დადგენილება №3 - ვებგვერდი, 25.02.2022 წ.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2022 წლის 28 აპრილის დადგენილება №19 - ვებგვერდი, 29.04.2022 წ.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2023 წლის 21 აპრილის დადგენილება №22 - ვებგვერდი, 27.04.2023 წ.

მუხლი 46. ქვითრის ფორმის დამტკიცება

კომისია ქვითრის ფორმის დამტკიცებას უზრუნველყოფს არაუგვიანეს 2021 წლის 1 ოქტომბრისა.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2021 წლის 28 ივნისის დადგენილება №25 - ვებგვერდი, 30.06.2021 წ.